პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 99 (19241) კვირა, 28 აპრილი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

ბიბლიოთეკა

ძმური სალამი სოციალისტური ქვეყნების ხალხებს!

გაუმარჯოს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობას, თანამშრომლობასა და შეკავშირებას, მათს უარყოფ გადაწყვეტილებას განამტკიცონ და დაიცვან სოციალიზმის მონაპოვრები, ქვეყნად მშვიდობა!

სკკკ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

რაც პარტიამ დასახა, შესრულდება

რესპუბლიკის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით მესმიან და ხოლავლენ სკკკ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შედეგებს, პლენუმზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებას. ქვეყნის ცხოვრებაში ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის გამო თავიანთ გამოხმაურებებში ისინი აცხადებენ, რომ მტკიცედ და უარყოფად აქვთ გადაწყვეტილი ინიციატივანი, თავდადებული მუშაობით ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა პარტიის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას.

მთავარი საზრუნავი

თბილისი. აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მშრომელები დიდი იხტერესით გაეცნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სკკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების შინაარსს. მასში, კერძოდ, ნათქვამია, რომ პროდუქციის ხარისხის ყოველმხრივი გაუმჯობესება ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრში უნდა იყოს, ხარისხი და კიდევ ერთხელ ხარისხი —აი ჩვენი დღევანდელი ლოზუნგი.

თუ ხარისხის პრობლემას გადაწყვეტთ, შეეძლებთ რაოდენობის პრობლემის გადაჭრასაც. ეს თანამედროვე ტექნიკაზე ქვეყნის მოთხოვნილებების, სხვადასხვა სახეობის საქონელზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნის სულ უფრო სრული დაკმაყოფილების, სახალხო მეურნეობაში დეფიციტების დაძლევის ერთადერთი საიმედო გზაა.

ეს აზრი თითქოს ჩვენი გულიდან ამოსული სიტყვებია: ხარისხიანი პროდუქციის დაშზადება რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა უპირველესი საზრუნავია. მოსახლეობა სწორედ მაღალი ხარისხის ფართო მოხმარების საგნებს ეტანება, დღეს უვარგისი ნაწარმი არავის სჭირდება.

„მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები ჩვენი საწარმოს მშრომელთა საქმიანობის პროგრამა გახდება. სწორედ ამ პროგრამაზე დაყრდნობით შეიძლება რესპუბლიკის ეკონომიკის წინსვლა, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის კიდევ უფრო გუმჯობესება. ჩვენ ახლა ამ მიმართულებით, და არა მარტო ამ მიმართულებით, დასახული გვაქვს კონკრეტული ამოცანები, რომელთა უთუოდ გადაჭრა გაზრდის ჩვენს „ავტორიტეტს, დაგვეხმარება გამოვუშვათ მომხმარებელთა მოთხოვნის შესაბამისი ნაწარმი.

ვ. გეგეშიძე,
თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ქარგალი, ორჯონიკიძის ლენინის და ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ჩინებული შედეგებით ვახაროთ ქვეყანა

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე საქმისა და გულახდილი საუბარი გაიმართა ქვეყნის სახალხო მეურნეობის, კერძოდ, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

პლენუმმა ხაზი გაუსვა იმის აუცილებლობას, რომ საჭიროა გავაძლიეროთ მუშაობა სასურსათო პროგრამის შესრულებისათვის.

პირადად მე, როგორც საჯარო ბრიგადის ბრიგადირს, მიმაჩნია, რომ მატერიალური დაინტერესების ფორმები, რომლებიც უკანასკნელ წლებში ჩვენს კოლმეურნეობაში დაინერგა, შეესაბამება სკკკ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ საჭიროა ენერგადგეთ სამეურნეო ანგარიშს და ამ საფუძველზე ეზრდიდეთ შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობას და დაინტერესებას მუშაობის საბოლოო შედეგებით.

შრომისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ, სწორედ მუშაობის საბოლოო შედეგებით დაინტერესებამ გამოიწვია ის დიდი შრომითი ენთუზიაზმი, რომელმაც ბრიგადის შარშანდელ ეკონომიკურ მაჩვენებლებში იჩინა თავი.

ჩვენი ბრიგადის №1 საიჯარო რგოლის წევრებმა საგგამო 79,5 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე 132 ცენტნერი ხილი მოიწიეს. №2 რგოლში 152 ტონის ნაცვლად 231 ტონა ხილი დაკრიფეს და წარმოების ბეგმა 152 პროცენტით გაანადღეს.

ამას იმატებ ვამბობ, რომ ადრე ამ რგოლებში საშუალოდ ჰექტარზე 40-45 ცენტნერი ხილი თუ მოპყავდათ.

საბოლოო შედეგებით დაინტერესებამ კოლმეურნეობასაც მოუტანა სიკეთე და კოლმეურნეებსაც. ბეერმა ოჯახმა პრემიის სახით ტონობით ვაშლი მიიღო.

კარგი სამეურნეო მაჩვენებლები მტკიცე დისციპლინის, მთელი ენთუსიაზმისა და შესრულების, საბოლოო შედეგებით დაინტერესების შედეგია.

ახლა, როცა სკკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება სკკკ მორიგი XXVII ყრილობის მოწვევის შესახებ, მთელი ჩვენი მეცადინეობა იქით უნდა მივმართოთ, რომ ჩინებული შრომითი მაჩვენებლებით შეეხვედეთ ქვეყნის კომუნისტთა უმაღლეს ფორუმს, როგორც ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ითქვა, „ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ ქვეყანა ვახაროთ მაღალი შედეგებით".

გ. ვიკაუშვილი,
ჭარელის რაიონის ჭარელის კოლმეურნეობის № 7 საიჯარო ბრიგადის ხელმძღვანელი.

კარგი წანამძღვრები

ჩვენი პარტია და ხალხი დიდი ენთუზიაზმით ემზადებიან სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად. და აი, სკკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომ პარტიის მორიგი XXVII ყრილობა გაიმართება 1986 წლის 25 თებერვალს.

ამ ცნობამ კიდევ უფრო აღაფრთოვანა საბჭოთა ადამიანები და ახალ-ახალი მიღწევებისათვის დარაზმა.

ყრილობისათვის მზადება გაძლიერებს საბჭოთა ადამიანების აქტიურობას.

ამ ბოლო დროს დიდი ყურადღება მიექცა პარტიის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და იდეოლოგიური მუშაობის ამოცანებს. მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი არ გაკეთებულა იმისათვის, რომ იდეოლოგიური მუშაობა უმჯობესად იყოს დაკავშირებული ცხოვრებასთან. კვლავ ხელ გვიშლის ფორმალიზმი.

„იდეურ-პოლიტიკური აღზრდა ყველა თავისი ფორმით მაქსიმალურად უნდა იყოს დაკავშირებული დღეგანდღეობის მთავარ ამოცანასთან — ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებასთან. ამას ვერ მივალწევთ, თუ ყოველმხრივ არ გავითვალისწინეთ სამნაო ცხოვრების პირობების მთელი ერთობლიობა, საერთაშორისო ვითარების სპეციფიკა", — თქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა.

ჩვენი პარტიისა და თავკრობის საშვალოდობო პოლიტიკა, ქვეყნის ძალიერებისა და შრომელთა კეთილდღეობისათვის ნაადგა დიდი ზრუნვა სიხარულით ალავსებს ხალხის გულს და თითოეული ჩვენგანი გრძნობს ამ დიდ პასუხისგებლობას, რომელიც მას აკისრია ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში.

ჩვენი საწარმოო გაერთიანების პარტიულმა ორგანიზაციამ მიაღწია იმას, რომ ამაღლებულიყო პარტიული სწავლების თეორიული დონე, პრაქტიკული უკუგება, გაუჯერებესებულიყო პოლიტიკური მეცადინეობის ხელმძღვანელთა თვისებრივი შემადგენლობა. ჩვენთან ბევრი მოწინავე პრობაგანდისტია. მარტო ის რად ღირს, რომ ჩვენ შორის არის გაერთიანების მთავარი ინჟინერი — ერთ-ერთი თვალსაჩინო პრობაგანდისტი დ. ოყრიბელაშვილი.

პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლება ეხმარება გაერთიანების შრომელებს მიზანმიმართულად იბრძოლონ ბეგმეგისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის.

კარგი წანამძღვრები გვაქვს შექმნილი მომავალი დადგებთა შესრულებისათვის, ჩვენი საწარმო, როგორც ყოველთვის, პირნათელი შეხვდება პარტიის მორიგ ფორუმს.

მ. ჯაბიაშვილი,
სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელმის საწარმოო გაერთიანების პროპაგანდისტი.

ვარდისუბნის ვენახებში საიუბილეო შეჯიბრებაზე

ლ. აგოდეზის რაიონის სოფელ ვარდისუბნის მ. გორკის სახელობის კოლმეურნეობის ვენახებში საგაზეთესოდ „ბრიგადას მოსავლელად მიჩენილი აქვს 47 ჰექტარი ვენახი, „აქედან 45 — მსხმოიარეა. კოლმეურნეობის მოწინავე კოლექტივმა ვალდებულება აიღო, მომდინარე წელს მოკრიფოს 2500 ცენტნერი ყურძენი, რაც საგეგმო მაჩვენებელს 250 ცენტნერით სჭარბობს.

გრაფიკის გასწრებით მუშაობენ მექანიზატორები. მომდინარე აგროტექნიკურ ღონისძიებებს მკაცრად „კონტროლებენ საზოგადოებრივი კონტროლიორები.

სურათებზე: დიდი მონდომებით შრომობს ვენახებში რაიონული საბჭოს დეპუტატი მარინე ხოხონაშვილი; საგაზეთესოდ მუშაობენ მ. გორკის სახელობის კოლმეურნეობის ვენახებში.

შ. აივაზოვის ფოტო. (საკონფორმის ფოტოკრონიკა).

ბ. ჩინავალი ქარხანა „ელექტროვიბრომანქანაში" ფართოდ გაიშალა დიდი გამარჯვების 40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება.

ერთ-ერთ საამქროში, სადაც ათვისებულია ახალი სახეობის პროდუქციის — ვიბრაციული უნივერსალური მკეცავების გამოშვება, — თავდადებით შრომობს კომკავშორეულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც ლევ ბითიევი ხელმძღვანელობს. ერთსულოვანი კოლექტივის ყველა წევრი კომკავშორელია. ისინი ქარხანაში საჭოთა არმიის რიგებში სამსახურის შემდეგ მოვედნენ. დიდი თარეულ ალსანშენავ შრომითს ვახვეზე ბრიგადა ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს.

სურათებზე: გამოსაშვებად მზადდება მორიგი „უნივერსალური ვიბრომკეცავი; საწარმოს ერთ-ერთი საუკეთესო მუშა ვაჟა ბაჩიროიანი.

ლ. გუსოვის ფოტო. (საკონფორმის ფოტოკრონიკა).

მეგობრული შეხვედრა

27 აპრილს ეარშავაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. იარუზელსკი.

ორი მოძმე პარტიის ხელმძღვანელებმა დაადასტურეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის პრინციპული კურსი — საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების კურსი. ორივე მხარემ გამოხატა მტკიცე გადაწყვეტილება კვლავაც ურყეად იდგეს რეკოლუციური მონაპოვრების სადარაჯოზე, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედები ინრძოლონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ყოველი ღონე იხმაონონ, რათა დაიცვან მშვიდობა და უშიშრობა ევროპის კონტინენტზე და მთელ მსოფლიოში.

ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ფარალეს პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა შეხვედრის ისტორიული მნიშვნელობა, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება მოქმედების ეადა გაუგრძელონ ამ ხელშეკრულების, რომელმაც დასაბამი მისცა მოძმე ქვეყნების პოლიტიკურ და სამხედრო კავშირს.

ხაზგასმით აღინიშნა ფაშიზმზე დიდი გამარჯვების 40 წლისთავის უდიდესი მნიშვნელობა. მაბრეებმა ხაზი გაუსვეს, რომ ისტორიის გამოცდილება გაფრთხილება უნდა იყოს დასაცავთის იმ რეაქციული წრეებისათვის, რომლებიც, რევანშისტული ტენდენციების გამოიცოცხლებით, ცდილობენ საქმეთ გასადონ მეორე მსოფლიო ომის შედეგად ფ ომისშემდგომი განვითარების დროს ევროპაში შექმნილი ტერიტორიულ-პოლიტიკური რეალობანი.

შეხვედრის მონაწილეებმა კმაყოფილება გამოთქვეს სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ძმური კავშირურთიერთობის დინამიკური განვითარებისა და განმტკიცების გამო, აღინიშნეს, რომ საქართველო თანამიდევრულად ხორციელდებოდეს ორი ქვეყნის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების 2000 წლამდე პერიოდისათვის გათვალისწინებული გრძელვადიანი პროგრამა. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს წარმოების ინ დარგებს, რომლებიც განსაზღვრავენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, უზრუნველყოფენ დაჩქარებულ ეკონომიკურ ზრდას და ამ საფუძველზე — მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას.

მ. ს. გორბაჩოვმა და ვ. იარუზელსკიმ გამოთქვეს ერთსულოვანი აზრი, რომ კვლავაც უნდა განავითაროთ ორი ქვეყნის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის კონტაქტები, მრავალმხრივი კავშირურთიერთობა საზოგადოებრივი, მეცნიერული და კულტურული ხასიათ.

ორი მოძმე პარტიის ხელმძღვანელებმა ერთმანეთს მიაწოდეს ინფორმაცია სსრ კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში არსებული ვითარების, იმ ამოცანების შესახებ, რომლებსაც წყვეტენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია. საბჭოთა მხარემ დაადასტურა, რომ უცვლელად სოციალურად პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, პოლონელი მშრომელების ბრძოლას კრიზისის შედეგების სრული დაძლევისათვის, სტაბილიზაციისათვის, სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის. პოლონეთის მხარემ სსრ კავშირის მადლობა გადაუხადა დახმარებისა და მხარდაჭერისათვის; რაც პოლონეთისათვის არსებითი წვლილია სიძნელეთა დაძლევაში.

ვ. იარუზელსკიმ მ. ს. გორბაჩოვი მეგობრულ ვიზიტად მიიწვია პოლონეთში. ამ მოწვევას მადლიერებით დაეთანხმნენ. ვიზიტის დროს მოგვიანებით შეთანხმებენ.

მოძმე პარტიების ხელმძღვანელთა შეხვედრამ ერთიანობისა და გულთადი მეგობრობის სულისკვეთებით ჩაიარა. (საკდესი).

საბჭოთა დელეგაცია მოსკოვს გამოემგზავრა

27 აპრილს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ მოსკოვის გამოემგზავრა საბჭოთა დელეგაცია, რომელიც მოწვეულია ეარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ფარალეს პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა შეხვედრაზე.

ეარშავიდან დელეგაცია გამოეცალა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. იარუზელსკი.

ეარშავიდან ეარშავის ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად ჩავიდა ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სადღესასწაულო ვაჭრობა: წესრიგი, ორგანიზებულობა, კულტურა

მეტი, უფრო მრავალფეროვანი, უფრო ხარისხიანი — ასეთია ნებისა სადღესასწაულო ვაჭრობისა, რომელიც ამართება პირველი მაისის ზეიმისა და გამარჯვების 40 წლისთავის წინ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა, რომლებმაც წარმოადგინეს ვაჭრობისათვის მზადყოფნის ანგარიში, ეს ტენდენცია დაადასტურეს მონაცემებით, რომლებიც მოწმობენ: საჭირო წინამძღვრები აქვს შექმნილი მყიდველთა მოთხოვნის სრულ დაკმაყოფილებას. საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს საწარმოები, სხვა ორგანიზაციები, რომლებიც სადღესასწაულო ვაჭრობას ჩვეულებრივზე ერთი კვირით ადრე იწყებენ, უზადად სთავაზობენ მყიდველებს ხორცს, დაკლულ ფრინველს, საკონდიტრო ნაწარმს, ლობიოს, სიმინდისა და ჰურის ფქვილს, მინერალურ და ხილის წყლებს, სხვა პროდუქტებსა და ნაწარმს. მშრომელთა სადღესასწაულო სუფრას დაამშვენებს ახალი თევზი, შებოლილი თევზეული, სოკო, მწვანილი, ახალი კომბოსტო, სხვა ბოსტნეული, რომლებიც შეტანილია გასტრონომიულ და სასურსათო მაღაზიებში, ხილმარნაკვეჭრილნი და სამომხმარებლო კოოპერაციის საკვეჭრო ობიექტებში.

პროდუქტების საერთო მოცულობასა და ხარისხს, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, უნდა შეესაბამებოდეს ვაჭრობის ორგანიზაცია. მშრომელთა მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება მათი დროის მინიმალური დანახარჯებით — ამ პრინციპით, ვაჭრობის საწარმოებთან ერთად, უნდა იხელმძღვანელონ ადგილობრივი პარტიულმა კომიტეტებმა, საბჭოთა დაწესებულებებმა, შინაგან საქმეთა ორგანოებმა. თბილისის, რუსთავის, რესპუბლიკის სხვა ინდუსტრიული ცენტრების, ქალაქებისა და რაიონების საკვეჭრო ობიექტებში უნდა იყოს სანიმუშო წესრიგი. ბაზრების მუშაობას მკაცრი კონტროლი უნდა დაუწესდეს. თათბირის მონაწილეებს ეკალთან იზრუნონ წარმობის უწყვეტი ცალის საწარმოებში დასაქმებული მშრომელების მომსახურებისათვის, აგრეთვე დღესასწაულის დღეებში ქალაქგარეთ გამსვლელებისათვის, ხელი შეუწყონ დასვენების მაღალ კულტურას, პროპაგანდა გაუწიონ მის ნორმებსა და ნიმუშებს.

თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დიდი სამამულო ომის ვეტერანებისა და პენსიონერების მომსახურებას. გადადებული ზრუნვის ობიექტებია საავადმყოფოები, ბავშვთა სახლები, სამაგვრო ბაგა-ბაღები.

სკკკ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებების, კონტექსტისა და სულისკვეთების საფუძველზე ყველა დასახული ღონისძიება და ბეგმა ადამტრებს მის მთავარ მოთხოვნას: მთელი პარტიული და სამეურნეო მუშაობის ყურადღების ცენტრშია მშრომელი ადამიანი.

სადღესასწაულო ვაჭრობა უნდა მოიწყოს სკკკ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და პირველი მაისისა და გამარჯვების 40 წლისთავის მომავალი დღესასწაულთან გამოწვეული აღმავლობისა და შრომელთა განწყობილების შესაბამის დონეზე.

თათბირის შედეგები შეაჯამა სკკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიროს წევრმა, ეანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. ფ. გალბონი, ნ. ა. ჭითაძე, ს. ე. ხაბეიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ა. ი. ავალიანი. (საქინფორმი).

საბჭოთა ქალაქი





გულითად ვითარებაში

(დასასრული)

აღმდგარა ნაცარტუტიდან, ქალაქში, რომლის მცხოვრებთაც, როგორც ჩვენმა რევოლუციურმა პოეტმა თქვა, „არასდროს მოუხრიათ ქედი მტრის წინაშე".

დღეს თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო, გვირგვინები მიიტანეთ უცნობი ჯარისკაცის საფლავზე და საბჭოთა არმიის მეომართა მემორიალურ კომპლექსში. დიდად ვაფასებთ ჩვენდამი თქვენი დამოკიდებულების შესანიშნავ, გულითად გამოვლენას — ვარშავის გმირთა ძეგლის ყვავილებით შემკობას.

და რაოდენ მძაფრ კონტრასტად გამოიყურება თქვენი თაყვანისცემის ეს გამოხატულება იმ დასავლელ პოლიტიკოსთა უზნეობის ფონზე, რომლებსაც განუზრახავთ უახლოეს ხანს „მოწიწებით ეახლონ" მართლაც რომ ისტორიის სანაგვეს — ესესელ დამნაშავეთა და ჯალათთა საფლავებს.

ჩვენ, პოლონეთში, ვერავის ვაპატიებთ და არც გვინდა ვაპატიოთ მილიონობით ადამიანის ტანჯვა-ვაების ეს უმაგალითო შეგინება. ვისაც მოუწადინებია სს თანამედროვე ევროპას შეარიგოს, იგი ვერ პოვებს ჩვენში ვერც გაგებას, ვერც მოწონებას — არც დღეს და არც არასდროს ოდესმე.

ამხანაგებო!

ვარშავის გმირთა ძეგლს განასახიერებს ძველბერძნული გამარჯვების ქალღმერთი — ნიკე. იგია სიმბოლო დამარცხებათა აღსასრულისა და სიმბოლო ჩვენი უდიადესი გამარჯვებისა: ქვეყნის განთავისუფლების, რევოლუციურ გარდაქმნათა გზას შედგომის, დამოუკიდებელი, სოციალისტური სახელმწიფოებრიობის აშენების, ჩვენი ხალხის ისტორიული წინსვლისა.

პოლონელმა ხალხმა კარგად იცის გამარჯვების ყადრი. ნაცარტუტიდან აღდგენილი ვარშავის ქვაფენილებისა და მოედნების ქვეშ დღესაც ვპოულობთ 1939 წლის ჩვენი ქალაქის დაღუპულ დამცველთა, წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა, გეტოს მებრძოლთა, 1944 წლის ამბოხებულთა, პოლონელ და საბჭოთა განმათავისუფლებელ მეომართა ნაშთებს. ქუჩებში, რომლებითაც თქვენ გაიარეთ დღეს, დიდხანს იყო ბარიკადების ნანგრევები. გზად თქვენ ნახეთ მრავალი სამახსოვრო დაფა, რომლებიც უკვდავყოფენ ჰიტლერელი ჯალათების მიერ საჯაროდ სიკვდილით დასჯილ მოქალაქეთა ხსოვნას.

ასე რომ, ჩვენს ერთიან ხმას, დღეს რომ გაისმა პოლონეთის დედაქალაქიდან, განსაკუთრებული მორალური მნიშვნელობა აქვს.

ვარშავიდან მივმართავთ ევროპის ყველა ხალხს, ანტიფაშისტური კოალიციის რიგებში ერთობლივი ბრძოლის ყოფილ მონაწილეებს, ახალგაზრდობას, რომელმაც ის შემზარავი წლები მხოლოდ სხვათა ნაამბობით იცის. ჩვენ მივმართავთ უკლებლივ ყველა ადამიანს, თითოეულს, ვისაც — განურჩევლად შეხედულებათა სხვადასხვაობის, კულტურული და პროფესიული განსხვავებისა — სწადია და შეუძლია იაზროვნოს პასუხისმგებლობის გრძნობით და რეალისტურად.

მაშ, ვსინჯოთ — ამდენი წინააღმდეგობის მიუხედავად — და მოვაშოროთ ჩვენს კონტინენტს ახალი ომის აჩრდილი. ვსინჯოთ ერთხელ კიდევ მივაღწიოთ თანხმობას, აღვადგინოთ გონიერებისა და თანამშრომლობის ვითარება, ასე ღრმად რომ დაარღვიეს „ცივი ომის" ძალებმა.

სოციალისტური ქვეყნები არავის ემუქრებიან. ისინი არ არიან მოწადინებულნი საერთაშორისო დაძაბულობის ზრდის, ოდინდელ ისრის ტყორცნას მიზანში მოსახვედრებლად, ჰურვისას — ჯავშნის შესანგრევად. ვერც ერთი ხალხი ამით ვერაფერს მოიგებს — ვერც ახლა და ვერც მომავალში.

ძვირფასო ამხანაგებო!

ომისშემდგომ მატიანეში არის განსაკუთრებული თარიღები, რომლებიც ღრმად გვაფიქრებს. წლეულს ეს არის უთვალსაჩინოესი წლისთავები: ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავი და ვარშავის ხელშეკრულების 30 წლისთავი. თითოეული მათგანი შეგვახსენებს, რა ზღვა სისხლი დაიღვარა, რა ზღვა ძალისხმევა დაგვჭირდა ისტორიაში პირველი ძმური, ურღვევი კავშირის შესაქმნელად და განსამტკიცებლად.

ჩვენი ძალა ეფუძნება, უწინარეს ყოვლისა, მუშათა კლასის, მშრომელების თავდადებას, მეგობარი ხალხების პატრიოტულ თაოსნობას. მაღალი შეფასების ღირსნი არიან გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მეომრები, პარტიული და სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სამეურნეო მუშაკები, მეცნიერები და კონსტრუქტორები, დიპლომატები და ჟურნალისტები. მათი მსახურება და გარჯა, მაღალი იდეურობა და შემოქმედებითი აზრი ამრავლებდნენ და ამრავლებენ ჩვენი კავშირის რეალურ ძალას და იმ ურყევ რწმენას, რომ ევროპის სოციალისტური ნაწილი მუდამ მტკიცედ დაიცავს თავის უშიშროებას, ეფექტიანად შეუწყობს ხელს მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

მაგრამ განსაკუთრებული პატივისცემისა და მადლიერების გრძნობით ვეკიდებით სოციალისტური სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხებს. სწორედ მისმა არმიამ ჩააქრო მაიდანეკისა და ოსვენციმის კრემატორიუმების ცეცხლი, გადაარჩინა ევროპული კულტურის მემკვიდრეობა, შემუსრა ჰიტლერული სიკვდილის იმპერია.

საბჭოეთი იყო და იქნება ჩვენი სოციალიზმის მშენებელი ხალხების ძირითადი თავდასაცავი ფარი. ლენინურ იდეებზე დაფუძნებულ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, განუხრელ ბრძოლას სამართლიანი საერთაშორისო ურთიერთობისათვის ხალხები ფართო მოწონებითა და გაგებით ეკიდებიან. ისინი იმსახურება ჩვენს პლანეტაზე მშვიდობისა და პროგრესის მთელი ძალების ისტორიულ ინტერესებს.

ჩვენ სრული გაგებით მივესალმებით საბჭოთა კავშირის პოზიციას ჟენევაში მიმდინარე მოლაპარაკებაზე. ეს კონსტრუქციული, ნათელი და პატიოსანი პოზიციაა. ჩვენ მთლიანად და სავსებით ვუჭერთ მხარს უთვალსაჩინოეს ინიციატივებს, რომლებიც წამოაყენა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის გაუმჯობესებისა და განვითარების ერთადერთ გონივრულ გზას წარმოადგენს გამალებული შეიარაღების ალაგმვა, დაძაბულობის შენელებისა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის პოლიტიკის აღორძინება. არა უხეში, ყოყოჩა მონოლოგები, არამედ დარბაისლური დიალოგი, არა ჰეგემონიის მისწრაფება, არამედ კომპრომისი და მორიგება უნდა განსაზღვრავდნენ საერთაშორისო ურთიერთობის ტონს.

გლობალური მასშტაბით დღეს განსაკუთრებით საშიშია შეერთებული შტატების ღონისძიებები, რომლებიც, კერძოდ, მიზნად ისახავს გამალებული შეიარაღების შეუზღუდველ გავრცელებას კოსმოსში.

ევროპული განზომილებით შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ერთმანეთს ერწყმის ვაშინგტონის ახლანდელი ადმინისტრაციის კონფრონტაციის პოლიტიკა და რევანშიზმის ძალებისა და ბნელეთის მოციქულების აქტივიზაცია, უწინარეს ყოვლისა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. დასავლეთში გახშირებული მოწოდებანი — შეიცვალოს ევროპაში დამკვიდრებული ტერიტორიულ-პოლიტიკური რეალობანი, გაბათილდეს იალტისა და პოტსდამის ხელშეუვალი შეთანხმებანი, რომლებიც სრულიად ევროპის თათბირის საბოლოო აქტმა დაადასტურა, — ეს არის ჩვენს კონტინენტზე მშვიდობის საძირკვლის ძირისგამოთხრის შეუწყნარებელი ცდა.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები ხელმძღვანელობენ ნათელი გეზით: გამოიჩინონ პრინციპულობა და მოქნილობა, ნიადაგ იზრუნონ თავდაცვისუნარიანობისათვის და გამართონ მოლაპარაკება იქ, სადაც ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია.

დრო აღარ ითმენს: თავის ისტორიაში ამდენი ბედუკუღმართობის მომსწრე ევროპა კვლავ უნდა გახდეს მაგალითი იმ ნაყოფიერი ინიციატივების რეალიზაციისა, რომელთა მიზანია განამტკიცოს უშიშროების საფუძვლები, გაამდიდროს ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობა.

სამართლებრივი აქტი, რომელსაც დღეს მოვაწერეთ ხელი, ჩვენი ერთიანობის, შეკავშირების, ძლიერების გამოხატულებაა. იგი უდავოდ შეუწყობს ხელს სოციალიზმის პროგრესული, მშვიდობისმოყვარული მისიის განხორციელებას.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, წარმოვთქვა სადღეგრძელო:

წარმატებით ვითარდებოდეს სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყანა!

გაუმარჯოს მოძმე პარტიების, ქვეყნებისა და ხალხების მეგობრობას, თანამშრომლობას და ერთიან მოქმედებას!

გაუმარჯოს ვარშავის ხელშეკრულების გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებს!

მშვიდობიანი თანაარსებობა და კონსტრუქციული თანამშრომლობა სუფევდეს ევროპასა და მთელ მსოფლიოში!

დღეგრძელობასა და ბედნიერებას ვუსურვებ აქ მყოფ ყველა უმაღლეს პარტიულსა და სახელმწიფო მოღვაწეს, ჩვენს ყველა ძვირფას სტუმარს!

გაუმარჯოს მშვიდობასა და სოციალიზმს.

• • •

შეხვედრის მონაწილე დელეგაციების სახელით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგო იარუზელსკი!

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

ნება მიბოძეთ, საბჭოთა დელეგაციისა და შეხვედრის ყველა მონაწილის სახელით, უწინარეს ყოვლისა, გულითადი მადლობა მოვახსენო სტუმართმოყვარეობისათვის პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და პოლონეთის სახელმწიფოს ხელმძღვანელებს. ძმურ სალამს ვუთვლით აგრეთვე გმირი და მშვენიერი ვარშავის მცხოვრებთ, სახალხო პოლონეთის ყველა მშრომელთ, ვუსურვებთ წარმატებით ეშენებინოთ სოციალიზმი.

აქ, ვარშავაში, ქალაქში, რომლის სახელიც დაერქვა ჩვენს კავშირს, დღეს აღსრულდა ისტორიული მნიშვნელობის აქტი. ვადა გავუგრძელეთ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას, რომელიც ოცდაათი წლის წინათ დაიდო. ვადა გავუგრძელეთ, როგორც ამხანაგმა იარუზელსკიმ თქვა, იმის მტკიცე რწმენით, რომ ჩვენი კავშირი საარსებოდ სჭირდება მის ყველა მონაწილეს, სჭირდება ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეს.

ვლადიმერ ილიას ძე, ლენინი ამბობდა: რევოლუციას უნდა შეეძლოს საკუთარი თავის დაცვაო. და ვარშავის ხელშეკრულების სახით ჩვენი ქვეყნების ხალხებმა რევოლუციურ მონაპოვართა მედგარი დამცველი პოვეს. რა მოგვცა ჩვენ ყველას ვარშავის ხელშეკრულებამ? მოგვცა მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის შესაძლებლობა. საიმედოდ უზრუნველყო საზღვრების ურღვევობა. მტკიცედ გადაუღობა გზა სოციალიზმის ახალგამოჩეკილ დამამხობლებს, მსოფლიო ბატონობის მაძიებლებს.

ისტორიამ არ იცის სხვა ისეთი კავშირი, როგორიც ჩვენია, კავშირი, სადაც ურთიერთობა ეფუძნება სუვერენულ სახელმწიფოთა სრულ თანასწორობასა და ამხანაგურ ურთიერთდახმარებას. კავშირი, რომელიც ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით ხალხთა კავშირს წარმოადგენს. კავშირი, რომელიც არავის ემუქრება და ისახავს ერთადერთ მიზანს — დაიცვას მშვიდობა. ჩვენ სხვა სოციალური სისტემის ქვეყნებთან ურთიერთობას წარვმართავთ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპით — ერთადერთ გონივრულ საფუძველზე, მეტადრე ბირთვულ ხანაში.

ვარშავის ხელშეკრულებას უკავშირდება ჩვენი ქვეყნების ფართო ინიციატივები, რომელთა მიზანია ევროპაში მშვიდობის კონსოლიდაცია, დაძაბულობის შენელება. დღევანდელმა შეხვედრამ დაადასტურა, რომ ყველანი მზად ვართ კვლავაც კოლექტიურად ვეძებთ ომის საფრთხის აღკვეთის, საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების გზები. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ დაცხრეს ორი სამხედრო-პოლიტიკური კავშირის კონფრონტაციის სიმწვავე, რაც შეესაბამება დედამიწის ყველა ხალხთა ინტერესებს.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების მიზეზით კი არ დაწყებულა ევროპის, ომისშემდგომი მსოფლიოს გათიშვა. ეს გააკეთეს ნატოს შემქმნელებმა, ჩვენი კავშირი კი მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ გაჩნდა, მას შემდეგ არაერთგზის გამოგვითქვამს მზადყოფნა დაგვეშალა ვარშავის ხელშეკრულება, თუ ნატო ამითვე გვიპასუხებდა. ეს პრინციპული პოზიცია მთლიანად შენარჩუნებულია. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი განზრახვა მეორე მხარეს არ ჰქონია და არა აქვს. პირიქით, ჩვენ თვალწინ აყენებს ახალ-ახალ აგრესიულ დოქტრინებს, გამალებით ზრდიან როგორც ბირთვულ, ისე ჩვეულებრივ შეიარაღებას. და ეს გვაიძულებს ახლა ვიზრუნოთ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის შემდგომი განმტკიცებისათვის.

კაცობრიობა დგას არჩევანის წინაშე: ან უნდა შევძლოთ მოვლენათა არახელსაყრელი მიმდინარეობის გამოსწორება, ანდა ბირთვული ომის საფრთხე სულ უფრო გაიზრდება. და ამ საფრთხეს მრავალგზის აძლიერებს ამერიკის შეერთებული შტატების საკოსმოსო სამხედრო გეგმები. რაც უნდა ილაპარაკონ, როგორც უნდა იმართლონ თავი ამ გეგმების ავტორებმა, მათი არსი ნათელია: მიიღონ შესაძლებლობა მოგვაყენონ ბირთვული დარტყმა და მოგვაყენონ — დაუსჯელად. ხოლო რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატები და ნატო კატეგორიულად ამბობენ უარს მიბაძონ სსრ კავშირის მაგალითს და იკისრონ ვალდებულება, რომ არ იხმარენ პირველნი ბირთვულ იარაღს, მათს განზრახვებს მით უფრო საშიში ხასიათი ეძლევა.

„კოსმოსური ომებისათვის" განკუთვნილი იარაღის შემუშავება ეს-ეს არის იწყება. მაგრამ ამან უკვე ააწრიალა თანამედროვე სამყარო, იგი იწვევს საერთაშორისო ურთიერთობის მთელი სისტემის დესტაბილიზაციას, ახლანდელზე კიდევ უფრო მწვავე პოლიტიკურ და სამხედრო კონფრონტაციას. ეს არ უნდა დავიწყებოდათ არც აღნიშნული პროვოკაციული წამოწყების ინიციატორებს და არც იმათ, ვისაც ამ პროვოკაციაში თანამონაწილეობისათვის ჩათრევას უპირებენ.

ჩვენ პრინციპულად სხვაგვარი მიდგომა გვაქვს: კი არ გადავაქციოთ კოსმოსი ომის საფრთხის ახალ წყაროდ, კი არ შევქმნათ დამკვრელური კოსმოსური შეიარაღება, არამედ მოვსპოთ არსებული თანამგზავრსაწინააღმდეგო სისტემები. ამავე დროს წინადადებას ვაყენებთ შევთანხმდეთ ბირთვულ საშუალებათა რადიკალური შემცირების თაობაზე და ისე წარვმართოთ საქმე, რომ საერთოდ გავაუქმოთ ბირთვული იარაღი.

ბუნებრივად გვესახება ისეთი უბრალო და ნათელი ნაბიჯი, როგორიც არის ორივე მხარის ბირთვული პოტენციალების გაყინვა. გვეკამათებიან: ამაზე რომ დავთანხმდეთ — ნიშნავს საბჭოთა სამხედრო უპირატესობა დავმკვიდროთო, მაგრამ ჯერ ერთი, ასეთი უპირატესობა არ არსებობს. ეს არაერთგზის დაგვიმტკიცებია ციფრებით ხელში, და ვაშინგტონმა ერთხელაც ვერ უარყო ისინი. მეორე, ვინა თქვა, თითქოს ვაპირებდეთ ვიქმაროთ გაყინვა? პირიქით, ჩვენ დაჟინებით მოვითხოვთ, რომ ამას მოჰყვეს ბირთვული შეიარაღების კარდინალური შემცირება.

ჩვენ უკვე წამოვაყენეთ წინადადება — დასაწყისისათვის ორივე მხარეს მეოთხედით შევამციროთ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღება. მაგრამ ჩვენ არაფერი გვექნებოდა არც იმის საწინააღმდეგო, რომ ნაცვალგების საფუძველზე განვეხორციელებინა უფრო ღრმა შემცირება. ყოველივე ეს შესაძლებელია, თუ არ დაიწყო გამალებული შეიარაღება კოსმოსში, თუ კოსმოსში მშვიდობა გვექნა.

საბჭოთა კავშირი, ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნები არ ეძებენ უპირატესობას არც დედამიწაზე და არც კოსმოსში. ჩვენ არ ვაპირებთ შეჯიბრებას იმაში, თუ ვინ უფრო მაღლა ასწევს ბირთვულ მესერს. მაგრამ არც იმას დავუშვებთ, რომ სამხედრო-სტრატეგიული პარიტეტი დაირღვეს. ეს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეთა საერთო მტკიცე პოზიციაა. თუ „კოსმოსური ომების" სამზადისი გაგრძელდა, ჩვენ გვრჩება ერთადერთი გამოსავალი — მივიღოთ საპასუხო ღონისძიებანი, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, გავაძლიეროთ და სრულვყოთ შეტევითი ბირთვული შეიარაღება.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების საკითხთა მოლაპარაკების ახლახან დამთავრებულმა პირველმა რაუნდმა გვიჩვენა, რომ მოლაპარაკება მძიმედ მიმდინარეობს. ცხადია, მოლაპარაკების წარმატება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ დავიცავთ თანასწორობისა და ერთნაირი უშიშროების პრინციპს, მორიგებას მოლაპარაკების საბოლოო მიზნის შესახებ, განსახილველი საკითხების ურთიერდაკავშირებული გადაწყვეტის შესახებ.

საბჭოთა კავშირმა, როგორც უკვე გამოვაცხადეთ, ცალმხრივი წესით შეაჩერა საშუალო სიშორის რაკეტების განლაგება და სხვა საპასუხო ღონისძიებათა განხორციელება ევროპაში. 7 აპრილიდან მორატორიუმი სამოქმედოდ არის შემოღებული. და ჩვენი ეს ნაბიჯი ღირსეულად დააფასა მსოფლიო საზოგადოებრიობამ, ბევრმა საღად მოაზროვნე ამერიკელმა და დასავლეთევროპელმა პოლიტიკოსმა. ჩვენ უფლება გვაქვს ვიქონიოთ იმედი, რომ ვაშინგტონი, ნატოს სხვა ქვეყნების დედაქალაქები უფრო სერიოზულად და დარბაისლურად მიუდგებიან ჩვენი ინიციატივის შეფასებას, გამოიჩენენ, თავის მხრივ, თავშეკავებას დასავლეთ ევროპაში ამერიკული რაკეტების განლაგების საკითხში. არადა, თანხმობა ამ საკითხში დაგვეხმარებოდა გადაგვეყვანა ჟენევის მოლაპარაკება პრაქტიკული გადაწყვეტების სიბრტყეში, შეასრულებდა თავის როლს უფრო რთული პრობლემების მოგვარების საქმეშიც.

თითქმის მესამედი საუკუნეა მოქმედებს ვარშავის ხელშეკრულება — და მთელი ამ დროის მანძილზე იგი გვევლინება კონსტრუქციული იდეების ინიციატორად, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს დაძაბულობის შენელებასა და გამალებული შეიარაღების შეზღუდვას, სრულიად ევროპის თანამშრომლობის განვითარებას. საერთაშორისო პოლიტიკაში მისი მზარდი წონა პოზიტიურ გავლენას ახდენს მსოფლიოს საერთო კლიმატზე. და ეს კოლექტიური ძალისხმევის, თითოეული მოძმე ქვეყნის წვლილის შედეგია.

ამხანაგებო, ფაშიზმზე დიადი გამარჯვების 40 წლისთავის წინ ჩვენ კვლავ ვიხსენებთ ფიცს, გამარჯვებულებმა რომ დადეს მეორე მსოფლიო ომის საფლავებსა და ნანგრევებზე: ომი არ უნდა განმეორდეს! ჩვენ გვახსოვს ეს, გვახსოვს, რას გვასწავლის ომის გაკვეთილი. და მათგან ერთი მთავარი გაკვეთილთაგანია ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოთა თანამშრომლობის მაგალითი. დღეს ევროპისა და სხვა კონტინენტების ყველა სახელმწიფოს მოვუწოდებთ ღირსეულად დაიჭირონ თავი უთანხმოებათა მიუხედავად, გახდნენ პარტნიორები ამ კაცობრიობის არსებობისათვის კარს მომდგარი საფრთხის — ბირთვული განადგურების საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვაგრძელებთ რა ვარშავის ხელშეკრულებას, კვლავ გამოვთქვამთ ჩვენს მტკიცე რწმენას: ომი შეიძლება ავიცილოთ და უნდა ავიცილოთ თავიდან გაერთიანებული ძალისხმევით. ასეთი გახლავთ ჩვენი ქვეყნების ხალხთა ნება. ამას ისახავს მიზნად ჩვენი პარტიებისა და მთავრობების პოლიტიკა. სოციალისტურ სახელმწიფოთა თავდაცვითი კავშირის მთელი საქმიანობა.

კვლავაც ეთანამშრომლოთ ჩვენს პარტიებსა და სახელმწიფოებს, განმტკიცებულიყოს მათი ერთიანობა და შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებით!

დაე, განმტკიცდეს სოციალიზმის ქვეყნების ძმური კავშირი — ვარშავის ხელშეკრულება!

გაუმარჯოს სახალხო, სოციალისტურ პოლონეთს, ვადღეგრძელებ ამხანაგ ვ. იარუზელსკის და პოლონეთის ხელმძღვანელობის წევრებს, ჩვენი შეხვედრის ყველა მონაწილეს!

მშვიდობა ნუ მოგვშლოდეს დედამიწაზე!

* * *

ამხანაგების ვ. იარუზელსკისა და მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლები დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს და ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

დარბაზობამ გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

მამაცობისათვის, სიმტკიცისა და ვაჟკაცობისათვის

რესპუბლიკაში გრძელდება ჯილდოების გადაცემა განვლილი ომის ვეტერანებისათვის, რომლებმაც დაიცვეს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოვლენილი მამაცობისათვის, სიმტკიცისა და ვაჟკაცობისათვის და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად მათ სამამულო ომის ორდენები და საიუბილეო მედლები მიენიჭათ.

27 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში გაიმართა ომის აქტიურ მონაწილეთა ჯგუფისათვის ჯილდოების გადაცემა. აქ თავი მოიყარეს თმაშევერცხლილმა ვეტერანებმა, რომლებმაც განვლეს დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიანი გზები, სხვადასხვა ეროვნებისა და სხვადასხვა პროფესიის ადამიანებმა, რომლებიც მრისხანე ომის ჟამს შეაკავშირა მტრისადმი სიძულვილმა, სოციალისტური სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულმა, ხალხის, მშობლიური პარტიის საქმის ერთგულებამ.

შეკრებილთ გულთბილად მიესალმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და მინისტრთა საბჭოს სახელით მან ყოფილ ფრონტელებს მიულოცა სამშობლოს უმაღლესი ჯილდოები და გადასცა მათ I და II ხარისხის სამამულო ომის ორდენები, აგრეთვე საიუბილეო მედლები „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების ორმოცი წელი".

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" ინჟინერი ე. ა. გელაშვილი, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ბ. ნ. ვინოგრადოვი, თბილისის ერთ-ერთი ავტოსაწარმოს მძღოლი ა. გ. ზალინიანი, გამომცემლობა „ხელოვნების" დირექტორი ნ. უ. ჯაში და სხვები, რომლებმაც გულითადი მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მათი მხედრული შრომის მაღალი შეფასების, ომის ვეტერანებისათვის ყოველდღიური ზრუნვის გამო. მათ განაცხადეს, რომ ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას არ დაიშურებენ ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის.

დიდი სამამულო ომის აქტიურ მონაწილეებს სამშობლოს ჯილდოები გადაეცათ

ყოველ ღონეს იხმარენ, რათა კვლავაც განამტკიცონ საყვარელი სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება.

ორდენები და მედლები რომ გადასცა, ამხ. გილაშვილმა დაჯილდოებულთ მიულოცა პირველი მაისისა და გამარჯვების მოახლოებული დღესასწაულები, უსურვა ვეტერანებს დღეგრძელობა, წარმატებები მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდისათვის კეთილშობილურ მუშაობაში.

• • •

ქარცეცხლიანი 1941 წლის ივნისში ჰიტლერელთა ურდოების დარტყმებს პირველებმა შეაგებეს მკერდი მეომარმა ჩეკისტებმა. მესაზღვრეებმა, რომლებიც მტკიცედ იცავდნენ სამშობლოს საზღვრებს, ვაჟკაცურად გაუძლეს უმკაცრეს გამოცდას, ცხადყვეს პატრიოტიზმი, მამაცობა და საბრძოლო გაწვრთნილობა, უქნობი დიდების ფურცლები ჩაწერეს სახალხო ომის მატიანეში. იარაღით ხელში იბრძოდნენ მოწინავე ხაზზე ჩეკისტთა ნაწილებისა და ქვეგანაყოფების მებრძოლები და მეთაურები, რევოლუციის ლეგენდარული რაინდის ფ. ე. ძერჟინსკის ათასობით აღზრდილი გმირულად იბრძოდა მტრის ზურგში, ჯაშუშებისა და დივერსანტების წინააღმდეგ ჩვენს ტერიტორიაზე.

ოთხი ათწლეული გავიდა მას შემდეგ, რაც მიჩუმდა დიდი სამამულო ომის ზალპები, და საქართველოს ვეტერანი-ჩეკისტები შეიკრიბნენ ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში. მათ მიესალმა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გენერალ-პოლკოვნიკი ა. ნ. ინაური. მან ხაზი გაუსვა, რომ ჩეკისტთა გვარდიის წარმომადგენლები, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ ომის ქარცეცხლში, სამაგალითონი არიან ომისშემდგომ წლებშიც მინდობილი სამუშაოს ყოველ უბანზე — სახელმწიფო უშიშროების ორგანოებშიც, სახალხო მეურნეობაშიც.

ამხ. ინაურმა ჩეკისტების — ყოფილი ფრონტელების ჯგუფს გადასცა I და II ხარისხის სამამულო ომის ორდენები. ამავე დროს ვეტერანებს გადაეცათ საიუბილეო მედლები „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების ორმოცი წელი", „ომის მონაწილეს" და „შრომითი ფრონტის მონაწილეს".

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ ვ. პ. თელია, ნ. დ. კაზაჩკინი და სხვა ვეტერანები, რომლებმაც დიდი მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს გამარჯვებაში მათი წვლილის მაღალი შეფასებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით ა. ნ. ინაურმა გულითადად მიულოცა დაჯილდოებულთ, უსურვა მათ ჯანმრთელობა და შრომითი წარმატებები.

• • •

ყოფილი ფრონტელები — ომის ვეტერანთა საბჭოებისა და სამხედრო კომისარიატების ხელშემწყობი კომიტეტების აქტივისტები შეიკრიბნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების ისტორიის მუზეუმის სარიტუალო დარბაზში. ამ მუზეუმში მოწყობილი ექსპოზიცია თვალსაჩინოდ მოწმობს იმას, თუ როგორ იბრძოდნენ ორმოცი წლის წინათ ისინი, ვისაც დღეს შეიარაღებული ძალების ვეტერანებს უწოდებენ.

დიდი სამამულო ომის მეომრებს მიესალმა ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. მ. არხიპოვი, რომელმაც ვეტერანებს გადასცა I ხარისხის სამამულო ომის ორდენები და საიუბილეო მედლები „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების ორმოცი წელი", „ომის მონაწილეს".

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით ამხ. არხიპოვმა გულითადად მიულოცა შეკრებილთ სამშობლოს საპატიო ჯილდოები, უსურვა მათ ჯანმრთელობა, ბედნიერება, წარმატებები ყველა საქმეში.

დაჯილდოებულთა სახელით გადამდგარმა მაიორმა ი. ა. მთვრალაშვილმა, გადამდგარმა პოლკოვნიკებმა ა. ი. ატამანოვმა, გ. ტ. ვალდაიმ და სხვებმა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას გულითადი მადლობა გადაუხადეს საბჭოთა შეიარაღებული ძალებისადმი მუდმივი ყურადღებისა და ვეტერანებისათვის დიდი ზრუნვის გამო. მათ განაცხადეს, რომ კვლავაც ყოველ ღონეს იხმარენ საბჭოეთის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის. (საქინფორმი).

მშვიდობის საკეთილდღეო გამარჯვება

25 აპრილს თბილისში გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების საიუბილეო სესია, რომელიც მიეძღვნა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების მსოფლიოისტორიულ მნიშვნელობას, სოციალისტური სამშობლოს დაცვაში მეცნიერთა აქტიურ მონაწილეობას.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ე. კ. ხარაძემ თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მეცნიერებმა დიდი წვლილი შეიტანეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში, შეიარაღებული ძალების სამხედრო-ტექნიკურ აღჭურვაში. გამარჯვების საერთო საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს ომის წინ შექმნილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებმაც. თავდაცვითი მნიშვნელობის კვლევისათვის გამიზნული რესპუბლიკის ყველა მეცნიერის მეცადინეობის კოორდინაციაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ომის წლებში მეცნიერებათა აკადემიასთან შექმნილმა რესპუბლიკურმა კომისიამ, რომელსაც მეთაურობდა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი.

ახლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ნაყოფიერად შრომობს დიდი სამამულო ომის ასზე მეტი ვეტერანი, მათ შორის არიან თვალსაჩინო მეცნიერები, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი. ე. კ. ხარაძემ მათ და რესპუბლიკის ყველა მეცნიერს გულთბილად მიულოცა დიადი გამარჯვების 40 წლისთავის მომავალი დღესასწაული, უსურვა ახალი შემოქმედებითი წარმატებანი.

მოხსენება — „დიადი გამარჯვების ისტორიული მნიშვნელობა" გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრკორესპონდენტმა ი. მ კაჭარავამ.

სესიაზე გამოვიდნენ გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ი. ი. ჯორჯაძე, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრკორესპონდენტი გ. შ. ციციშვილი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რ. ი. აგლაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის თანამშრომელი, გადამდგარი პოლკოვნიკი პ. ი. ევსტაფიევი, რომლებმაც თქვეს, რომ პლანეტის ყველა მეცნიერის კეთილშობილური ამოცანაა მტკიცედ წინააღუდგნენ შოვინიზმსა და ხალხთა შორის უნდობლობის გაღვივებას, აღზარდონ ადამიანები საერთაშორისო თანამშრომლობის სულისკვეთებით, იბრძოლონ ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის. (საქინფორმი).

მეცხოველეთა რაიონული შეკრება

ძნელი, მღელვარებით აღსავსე ზამთარი გაატარეს ბორჯომელმა მეცხოველეებმა. რაიონის მაღალმთიანი სოფლების საზოგადოებრივი მეურნეობების ფერმის მუშაკები სამაგალითოდ გაისარჯნენ, დიდთოვლობის დროს პირუტყვისათვის არ მოუკლიათ ყურადღება.

თანდათან სწორდება მეცხოველეობაში წინა წლის ჩავარდნები, საკმარისია ითქვას, რომ წლევანდელი 18 აპრილის მდგომარეობით, ბორჯომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 277 ტონით მეტი რძე. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, 20 კილოგრამით გაიზარდა საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებული რძის რაოდენობა, შესაბამისად გადიდდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობაც.

ბორჯომელ მეცხოველეთა გარჯაზე, მომავლის ამოცანებზე საქმიანი სჯა-ბაასი გაიმართა მეცხოველეობის ფერმების მწველავი ქალების რაიონულ შეკრებაზე. მომხსენებელმა — რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ნ. სტეფნაძემ და შეკრებაზე კამათში გამოსულებმა ილაპარაკეს მეცხოველეობის ფერმის მუშაკთა სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, კულტურული მომსახურების გაუმჯობესებაზე, სხვა გადასაჭრელ პრობლემებზე.

შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. პეტრიაშვილმა.

პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საზოგადოებრივ მეურნეობებს გადაეცათ რაიონული გარდამავალი წითელი დროშები, მოწინავე მწველავებს — ფასიანი საჩუქრები.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ოქტომბრის გზით

საბჭოთა აზერბაიჯანი 65 წლისაა

სურათზე: ბაქო — ქალაქის ხედი ს. მ. კიროვის სახელობის პარკიდან.

◆◆

მ. ჩინუროვის ფოტო. (საქდესის ფოტოქრონიკა).

სამოცდახუთი წლის წინათ აზერბაიჯანის მიწაზე თავისუფლების ალისფერი დროშა აფრიალდა. იშვა აღმოსავლეთის მიჯნაზე პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო — საბჭოთა აზერბაიჯანი, რომელიც ისტორიულად მოკლე ვადაში მეფის რუსეთის ეკონომიკურად ჩამორჩენილი განაპირა მხარიდან მაღალგანვითარებული ეკონომიკის, მოწინავე მეცნიერებისა და თავისთავადი კულტურის აყვავებულ რესპუბლიკად იქცა.

ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის მშრომელებმა მტკიცე, საიმედო საძირკველი ჩაუყარეს არა მარტო ახლანდელი, არამედ ყველა მომდევნო თაობის ბედნიერ ცხოვრებას, ჩვენს დღევანდელ წარმატებებს.

საბჭოთა აზერბაიჯანის 65 წლისთავს აღვნიშნავთ ვ. ი. ლენინის დაბადების 115 წლისთავის შემდეგ, მშრომელთა სოლიდარობის საერთაშორისო დღის წინ. ამ დღესასწაულების კალენდარული სიახლოვე უაღრესად საგულისხმოა: გმირული, პროლეტარული ბაქო, აზერბაიჯანის მშრომელები ყოველთვის მაღლა ატარებდნენ და ახლაც მაღლა ატარებენ ინტერნაციონალიზმის ლენინურ დროშას, ყოველთვის, უძნელეს დღეებშიც, იყვნენ რევოლუციურ რუსეთთან და აღმოსავლეთის ხალხებთან ერთად. როგორც ხატოვნად თქვა სერგო ორჯონიკიძემ, ბაქოში ყოველთვის „კამკამებდა პროლეტარული სოლიდარობის სხივი".

ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის მთელი ცხოვრება მიმდინარეობს სკკპ XXVII ყრილობის ფართო სამზადისის ნიშნით. აზერბაიჯანის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი ერთსულოვნად უჭერენ მხარს და იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ლენინური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომელიც გულდაჯერებით მიუძღვება საბჭოთა ხალხს აღმშენებლობისა და მშვიდობის გზით.

აზერბაიჯანელი ხალხის რევოლუციური ბრძოლის მთელი ისტორია განუყრელად უკავშირდება ვ. ი. ლენინის სახელს, ბოლშევიკების პარტიას. ვლადიმერ ილიას ძე იყო აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის შექმნის, საბჭოების ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის, მთელი მხარის სოციალისტური გარდაქმნისათვის მშრომელთა მასების ბრძოლის სულისჩამდგმელი.

წლითიწლობით მტკიცდება, მონოლითური ხდება საბჭოთა აზერბაიჯანის მშრომელთა ინტერნაციონალური შეკავშირება, მათი ძმობა და მეგობრობა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან, რაც დიდმა ლენინმა, რევოლუციის საქმისათვის მგზნებარე მებრძოლებმა, ამიერკავკასიაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მედროშეებმა — 26 ბაქოელმა კომისარმა გვიანდერძეს.

საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ძმობის, ჩვენი ცხოვრების ნორმად ქცეული ინტერნაციონალიზმის იდეების ერთგულება შთამბეჭდავი ძალით გამოვლინდა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მაგალითით პირველი ხუთწლედების პერიოდში. ეს მეგობრობა და ძმობა მკაფიოდ გამოიხატა ჩვენი სამშობლოსათვის მძიმე გამოცდის ჟამსაც, როცა აზერბაიჯანელი ხალხი საბჭოეთის ყველა ხალხთან ერთად სჭედდა საძულველ მტერზე გამარჯვებას ფრონტზე და ზურგში. იმ დროს აზერბაიჯანი საბჭოთა არმიის ერთ-ერთ მძლავრ არსენალად იქცა, რომელიც შეუფერხებლად ამარაგებდა მას საწვავით.

თანამიმდევრული აღმავლობით აღინიშნა საბჭოთა აზერბაიჯანის ცხოვრების ყველა მხარის განვითარება ომისშემდგომ პერიოდში, მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე ხუთწლედების დროს, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკისათვის წითელდროშოვან ხუთწლედებად იქცა. დიდი ნაბიჯი გადადგა წინ ეკონომიკამ და კულტურამ, გამდიდრდა და გამრავალფეროვნდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება. ამ წლებს თავიანთი აღმშენებლობითი გაქანებით უთვალსაჩინოესი ადგილი უკავიათ რესპუბლიკის მატიანეში. ეს პერიოდი აღინიშნა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ზრდის სწრაფი და სტაბილური ტემპით, ეკონომიკის მთელი რიგი დარგების ჩამორჩენის დაძლევით, მისი დაჩქარებული განვითარებით. იგი აღინიშნა სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წლითიწლობით მზარდი წარმოებით, გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებით, ხარისხობრივი მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ქვეყნის ერთიან სახალხოსამეურნეო კომპლექსში რესპუბლიკის წვლილის გადიდებით. და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ეს პერიოდი აღინიშნა რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის მთელი ორგანიზატორული, პოლიტიკური, იდეურაღმზრდელობითი მუშაობის დონის ძირეული ამაღლებით, მთელი აზერბაიჯანელი ხალხის პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ზრდით, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესებით და ვითარების გაჯანსაღებით.

მთლიანად ბოლო 15 წლის მანძილზე სამრეწველო წარმოების მოცულობა აზერბაიჯანში გაიზარდა სამჯერ, შრომის ნაყოფიერება — 2,2-ჯერ. ძირეული ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობაში, რომლის მთლიანი პროდუქცია ამ პერიოდში 2,8-ჯერ გადიდდა.

წარმატებით ხორციელდება მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების ვრცელი პროგრამა. მიზანდასახული, თანამიმდევრული მუშაობა მიმდინარეობს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მისი ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ამ საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის.

დღეს საბჭოთა აზერბაიჯანი მძლავრი ინდუსტრიის რესპუბლიკაა, რომლის შემადგენლობაშია მრეწველობის, მაღალმექანიზებული სოფლის მეურნეობის დაახლოებით 100 დარგი, სადაც 120 პროფესიისა და სპეციალობის ადამიანი შრომობს. ყველა ამ ცვლილებამ დიდი სამეცნიერო და კულტურული პოტენციალი მოითხოვა. მიწის წიაღიდან კოსმოსურ სიმაღლემდე — ასეთია იმ კვლევა-ძიების დიაპაზონი, რომელსაც აზერბაიჯანის მეცნიერება ახორციელებს, დღენიადაგ რომ ამრავლებს თავის წვლილს სახალხო მეურნეობაში. ვითარდება რა მდიდარ ეროვნულ საფუძველზე, მჭიდრო კონტაქტით და ურთიერთგამამდიდრებელი კავშირით ჩვენი ქვეყნის მთელ მრავალეროვნულ კულტურასთან, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია აზერბაიჯანის კულტურამ. მისი ოსტატები აქტიურად მონაწილეობენ პარტიის მრავალმხრივ მუშაობაში მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, ადამიანების სოციალური პასუხისმგებლობის, ზნეობრივი სიმტკიცის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობების ჩამოყალიბებისათვის.

განვლილ წლებში აზერბაიჯანის პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი გამოცდილება შეიძინა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში. პარტიისათვის, მთელი ქვეყნისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის მიერ დასახულ პასუხსაგებ ამოცანათა გადაწყვეტა მოითხოვს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა ფართოდ გამოყენებას, სოციალისტური მეურნეობრიობის ფორმების დაახლოებას თანამედროვე პირობებთან, სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის არსებითად დაჩქარებას. საჭიროა კვლავაც ვიბრძოდეთ შრომის, სახელმწიფო, საგეგმო დისციპლინის განმტკიცებისათვის, მუშაობის ყველა უბანზე მკაცრი წესრიგის უზრუნველყოფისათვის, ვავითარებდეთ მასების შემოქმედებითი აქტიურობასა და ინიციატივას.

პარტიის გადაწყვეტილებების რეალიზაციისათვის, ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის აზერბაიჯანის მშრომელთა წარმატებული ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია სოციალისტური შეჯიბრება საქართველოსა და სომხეთის მოძმე რესპუბლიკების მშრომელებთან. ეს ტრადიციული მეტოქეობა, რომელიც წლითიწლობით სულ უფრო მეტ გაქანებას და შინაარსს იძენს, მეგობრობის, ინტერნაციონალიზმისა და მჭიდრო თანამშრომლობის ნამდვილ სკოლას, ინიციატივისა და შთაგონების უშრეტ წყაროს წარმოადგენს.

აზერბაიჯანელი კომუნისტები და მშრომელები აღსავსენი არიან მტკიცე გადაწყვეტილებით, აღნიშნონ სკკპ მომავალი XXVII ყრილობა ჩვენი ლენინური პარტიის შესაფერი მიღწევებით, ისინი კვლავ აცხადებენ, რომ მონოლითურად არიან დარაზმული მის გარშემო, მზად არიან კვლავაც მთელი ძალ-ღონე მოახმარონ კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლას.

ზ. მ. იუსუფ-ზადე,
აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, აზერბაიჯანის სსრ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

მეგობრობენ ადამიანები, მეგობრობენ ქალაქები

დამოძვრებული ქალაქების წლევანდელი მსოფლიო დღე მიმდინარეობს ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო წლის ეგიდით.

ორმოც წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ, როცა გაჩაღებული იყო სტალინგრადის ბრძოლა. ვოლგისპირა ქალაქმა და ინგლისის ქალაქმა კოვენტრიმ პირველად გაუგზავნეს ერთმანეთს წერილები, რამაც დასაბამი მისცა საბჭოთა და საზღვარგარეთის ქალაქების მეგობრობას.

მიმდინარეობდა ომი, მაგრამ უკვე მაშინ, ბრძოლების ქარცეცხლში, ადამიანები ოცნებობდნენ მშვიდობასა და მეგობრობაზე. სანუკვარი მშვიდობა ჩვენს ქვეყანას ძვირად დაუჯდა, — 20 მილიონი საბჭოთა ადამიანის სიცოცხლედ. აი, რატომ იყო, რომ როცა სსრ კავშირის დელეგატებმა დამოძვრებული ქალაქების მსოფლიო ფედერაციის ტურინის ასამბლეაზე წინადადება წამოაყენეს დამოძვრებული ქალაქების დღე „ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლის" ნიშნით მოეწყოთ, დარბაზში ტაშმა იქუხა.

დამოძვრებული ქალაქების მსოფლიო დღის ემბლემაა თეთრი გასაღები, რომელიც მოთავსებულია მსოფლიოს გადაჯვარედინებულ ცისფერ ნახევარსფეროებში. გასაღები აღებს იმ ადამიანების გულებს, რომლებიც ისწრაფვიან იცხოვრონ მშვიდობიანად და სიამტკბილობით. სწორედ ამ მისწრაფებით ხელმძღვანელობენ ხალხები, რომელთა წარმომადგენლებმა საფრანგეთის ქალაქ ექს-ლე-ბენში 1957 წელს დაარსეს მსოფლიო ფედერაცია. და მას შემდეგ, სადაც უნდა იმართებოდეს მისი კონგრესი, დევიზი ერთია: „მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელების, განიარაღებისა და დემოკრატიისათვის".

განსაკუთრებით აქტუალურია იგი დღეს, როცა ასე დაძაბულია საერთაშორისო ვითარება, როცა ესოდენ საჭიროა ყველა ღონისძიების განხორციელება, რომ თავიდან ავიცილოთ ბირთვული ომი, შევინარჩუნოთ მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

ხალხთა მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ საბჭოთა საქართველოს მშრომელებსაც. აი, უკვე თორმეტი წელია, რაც თბილისი დამოძვრებული ქალაქების მსოფლიო ფედერაციის წევრია. კონტაქტები დამოძვრებულ ქალაქებთან და პარტნიორ ქალაქებთან წლითიწლობით ღრმავდება და მტკიცდება.

დამოძვრებული ქალაქების მსოფლიო დღის წინ საქინფორმის კორესპონდენტმა გ. კენჭოშვილმა სთხოვა იმათ, ვინც ამ ქალაქებში ყოფილა, ესაუბრათ მეგობრული შეხვედრების და შთაბეჭდილებების შესახებ.

მოგესალმება ინსბრუკი

თბილისქალაქმშენის № 10 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ჭელიძე:

— **ინსბრუკს** — თეთრი ოლიმპიადის ქალაქს, რომელიც მდებარეობს იტალიაში, შვეიცარიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიმავალი უმნიშვნელოვანესი გზების შესაყარზე, სურს მშვიდობიანად და თანხმობით იცხოვროს მსოფლიოს ყველა ქალაქთან. ამას ვგრძნობდით მუდამ და ყველგან, სადაც კი ყოფილა ჩვენი დელეგაცია.

ინსბრუკის მცხოვრებლებმა ღრმა ინტერესი გამოიჩინეს საბჭოთა ქვეყნის, ჩვენი რესპუბლიკის, მისი დედაქალაქისადმი. ქალაქის ბურგომისტრმა რომუალდ ნიშერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობისათვის ბრძოლაში საჭიროა ადამიანთა ურთიერთგაგება, რომელსაც ხელი არ უნდა შეუშალოს პოლიტიკურ და რელიგიურ მრწამსის სხვაობამ. მშვიდობისათვის ბრძოლაში უნდა გაერთიანდეს ყველა ხალხი — ასეთია ყველა ავსტრიელის აზრი, რომლებსაც შევხვედრივართ.

ბურგომისტრმა იმედი გამოთქვა, რომ ჩვენი კონტაქტები მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების დარგში კიდევ უფრო განვითარდება.

ჩვენი დელეგაციის წევრები ავსტრიელებს ესაუბრნენ ჩვენს ქვეყანაში ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავის დღესასწაულის, თბილისისა და ინსბრუკის პარტნიორული ურთიერთობის მნიშვნელობისა და განვითარების პერსპექტივებზე. პარტნიორი ქალაქის მცხოვრებნი დაინტერესდნენ საქართველოს დედაქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებით.

ვიყავით ტიროლის მხარის საბავშვო ქალაქში, სოფლებში, ვენაში, და ავსტრიიდან წამოვედით მტკიცე რწმენით, რომ ორი ქალაქის თანამეგობრობა ხელს შეუწყობს მშვიდობასა და დაძაბულობის შენელების საქმეს.

შეხვედრები იყო საქართველოშიც

ამის შესახებ გვესაუბრა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგარეო ურთიერთობის განყოფილების გამგე ჯ. ვაჩეიშვილი:

— **თბილისში** გაიმართა ქალაქ საარბრიუკენისა და საარის მხარის დღეები. ნიშანდობლივია, რომ სწორედ საარბრიუკენი იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პირველი ქალაქი, რომელმაც მეგობრული კონტაქტები დაამყარა საქართველოს დედაქალაქთან.

გერმანული ქალაქის მცხოვრებლებთან ყოველი შეხვედრა მეგობრობის, კონტაქტების, ურთიერთგაგების ახალი ფურცელია.

თბილისის საქალაქო აღმასკომში სტუმრები გაეცნენ დეპუტატთა კომისიების მრავალმხრივ საქმიანობას, ეწვივნენ რესპუბლიკის დედაქალაქის ახალმშენებლობებსა და ძველ უბნებს.

და სადაც უნდა გამართულიყო შეხვედრები — კინოსტუდია „ქართულ ფილმში" თუ საგარეჯოს რაიონის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, უნივერსიტეტსა თუ თბილისის საშენ მასალათა კომბინატში — ყველა შეხვედრის დომინანტი იყო მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების თემა.

თბილისელებთან გამოთხოვებისას საარბრიუკენის ობერ-ბურგომისტრმა ოსკარ ლაფონტენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტნიორი ქალაქების მეგობრობა მძლავრი სტიმული გახდა მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში.

დამოძვრებული ქალაქების დღესასწაულის დღეს თბილისში გაიმართება საზეიმო სხდომა. გაიხსნება გამოფენები, სტენდები, რომლებიც ასახავენ დამოძვრებულ ქალაქებთან და პარტნიორ ქალაქებთან თბილისის მეგობრობას.

მოეწყობა ფილმების თემატური ჩვენება, პოეზიის საღამო. ბაღებში, პარკებში, სტადიონებზე გაიმართება სახალხო სეირნობა, სპორტული ასპარეზობა.

ინსბრუკის ბურგომისტრი რ. ნიშერი:

კიდევ უფრო დავახლოვდეთ

ორი მსოფლიო ომის სისხლიანი გაკვეთილები, მწუხარება და უბედურება, მათ რომ დაატეხეს თავს კაცობრიობას, „ცივი ომის" პერიოდში შავბნელი მომავლის მომასწავებელი ნიშნები — ყოველივე ამან მძლავრი იმპულსი მიანიჭა მშვიდობის მომხრეთა ურთიერთგაგებას სხვადასხვა სახელმწიფოში.

მაგრამ ურთიერთგაგების დაწესება, „ზემოდან დეკრეტირება" შეუძლებელია, იგი შეიძლება წარმოიქმნას მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობის პროცესში, გულითადობისა და ორმხრივი სიმპათიის ვითარებაში. ჩვენს დროში მთელი ევროპა თითქოს დაძმობილებული და პარტნიორი ქალაქების ქსელს დაუფარავს.

ინსბრუკი, ნეიტრალური ავსტრიის ტიროლის ფედერალური მხარის მთავარი ქალაქი, ორი ზამთრის მსოფლიო ოლიმპიადის დედაქალაქი, მსოფლიო ტურიზმისა და საერთაშორისო შეხვედრათა ცენტრი თავის ამოცანად მიიჩნევს იმას, რომ აქტიურად მუშაობდეს მშვიდობის განმტკიცებისა და ურთიერთგაგების დამყარებისათვის.

ინსბრუკის პარტნიორი ქალაქია საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი თბილისი. მათ აახლოებს მთელი რიგი საერთო თავისებურებანი: ორივე ადმინისტრაციული ცენტრია, ორივეს დიდი ისტორიული წარსული აქვს, ორივეში არის უნივერსიტეტები და მრავალრიცხოვანი კულტურული დაწესებულებანი. თუ საქმეში ღრმად ჩავიხედავთ, დავინახავთ, რომ საერთოდ ტიროლისა და საქართველოს მეგობრული კონტაქტების წანამძღვრებიც არსებობს როგორც მათი დედაქალაქების კეთილი ურთიერთობის ბუნებრივი გაგრძელება.

სხვა ხალხის ცხოვრების გაცნობისას ადამიანები უკეთ იგებენ მის სურვილებს, მისწრაფებებს, და ალბათ ცრურწმენებსაც, რომლებიც თანდათანობით ქრება უშუალო ურთიერთობის პროცესში, შეხვედრების დროს ბუნებრივად ვლინდება ადამიანური თვისებები, ურთიერთპატივისცემა, მყარდება მეგობრობა. ეს შეეხება ცალკეულ პიროვნებებს, ადამიანთა ჯგუფებს, მთელ ერებს. იქმნება პირდაპირი, უშუალო კონტაქტების ქსელი, რომელთა შედეგად გაუგებრობა და მტრობა ადგილს უთმობენ ახალსა და კეთილ გრძნობებს. სწორედ ეს არის სხვადასხვა ქალაქის მეგობრული ურთიერთობის მთავარი ღირებულება მშვიდობის საქმისათვის, და ამიტომ ესოდენ აუცილებელია კიდევ უფრო განვამტკიცოთ და გავაფართოვოთ — ამ ურთიერთობის ქსელი.

ინსბრუკმა და თბილისმა ბევრჯერ გაცვალეს წარმომადგენლობითი დელეგაციები საქალაქო მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელების მეთაურობით. მოსახლეობის ფართო წრეებისათვის ეწყობა ჯგუფური მოგზაურობანი, რომლებსაც ბოლო ხანს რეგულარული ხასიათი მიეცა. დამყარდა კონტაქტები ორივე ქალაქის უნივერსიტეტებს შორის. ინსბრუკელ სტუდენტთა ჯგუფი იყო თბილისში, სადაც განახორციელა სამეცნიერო სამუშაოთა ციკლი. გაიცვალა ტიროლისა და საქართველოს სამთომაშველთა დელეგაციები. ხორციელდება მხატვრული კოლექტივების გაცვლის განვითარების ღონისძიებანი. თუმცა ამ სფეროში რაც გაკეთდა, ჯერ მხოლოდ დასაწყისია.

ძალზე სასარგებლო იქნებოდა აგრეთვე გამოცდილების გაზიარება კომუნალური მეურნეობის დარგში, რადგან ორივე ქალაქი ერთნაირ პრობლემებს აწყდება და ერთნაირი ამოცანები აქვს გადასაწყვეტი: საბინაო მშენებლობა, საქალაქო ტრანსპორტის განვითარება, გაწმენდა-დასუფთავება, ენერგომომარაგება, გარემოს დაცვა და სხვა.

ახალი ამბების სააგენტო — სპეციალურად გაზეთ „კომუნისტისათვის".

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

27 აპრილი ● საქდესი იუწყება

სრული მხარდაჭერა

ნიუ-იორკი. საბჭოთა კავშირის იმ პოზიციას, რომ ამჟამად განსაკუთრებით საჭიროა პოლიტიკური ნება ქვეყნად მშვიდობისათვის, მთლიანად დაუჭირა მხარი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თვალსაჩინო პოლიტიკურმა მოღვაწემ, სოციალისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარემ ვილი ბრანდტმა. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ აღარ განმეორდეს მეორე მსოფლიო ომის მსგავსი ტრაგედია, უპასუხა მან საქდესის კორესპონდენტთან კითხვაზე ჰიტლერული ფაშიზმის 40 წლისთავის მნიშვნელობის შესახებ.

7 მაისს, ნაციზმზე გამარჯვების წინ, თქვა ვ. ბრანდტმა, მე ჩავალ ნიურნბერგში ვოლგოგრადისა და როტერდამის, ლენინგრადისა და მინსკის, კოვენტრისა და დრეზდენის, ორადურისა და ლიდიცის, კელნისა და ნიურნბერგის მერების შეხვედრაზე. ჩვენ ვიმსჯელებთ, თუ რა ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ უფრო საიმედო მშვიდობა, რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ წარსულიდან მომავლის საკეთილდღეოდ.

ვ. ბრანდტმა აღნიშნა, რომ ევროპის ხალხებმა მეორე მსოფლიო ომში აურაცხელი მსხვერპლი გაიღეს. რაც შეეხება ჩემს ქვეყანას, განაცხადა მან, ძალაუფლება არასოდეს აღარ უნდა ჩაუვარდეთ ხელში დამნაშავეებს. არასოდეს აღარ უნდა შეიქმნას მომავალში იმის მსგავსი პირობები, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომი გამოიწვიეს. თუ ხელისუფლებას ომის მოსურნე პოლიტიკური რეჟიმი ჩაუდგა სათავეში, ამას კოშმარული შედეგები მოჰყვება არა მარტო ევროპის ხალხებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის, ხაზგასმით აღნიშნა ვ. ბრანდტმა.

სკკპ დელეგაცია ტანზანიაში

დარ-ეს-სალამი. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ტანზანიის რევოლუციურ პარტიას შორის პარტიული ურთიერთობის გეგმის შესაბამისად აქ ჩამოსული სკკპ დელეგაცია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ბ. ვ. ნიკოლსკის მეთაურობით იყო ზანზიბარში — ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის კუნძულოვან ნაწილში. სკკპ დელეგაცია შეხვდა ტანზანიის რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, ზანზიბარის მთავარ მინისტრს სეიფ შარიფ ჰამადს. გამართული საუბრის დროს მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო წამყვან როლს ასრულებენ იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის ხრიკების წინააღმდეგ, მშვიდობის, განიარაღებისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

პროვოკაციული აქცია

ფხენიანი. როგორც ცტაკის სააგენტო იუწყება, ამერიკული სადაზვერვო თვითმფრინავი სრ-71 შეიჭრა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში კოსონის ალმოსავლეთით.

ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციული აქციები არ წყდება ამერიკა-სამხრეთ კორეის ერთობლივი მანევრების „ტიმ სპირიტ-85"-ის დამთავრების შემდეგაც, რომელიც კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრის უშუალო სიახლოვეს მიმდინარეობდა, აღნიშნავს სააგენტო. მარტო აპრილში აღინიშნა რესპუბლიკის საჰაერო სივრცის 13 დარღვევა.

ამგვარი მტრული მოქმედება, აღნიშნავს ცტაკი, უკიდურესად ამწვავებს ვითარებას კორეის ნახევარკუნძულზე, ხელს უშლის რეგიონში ვითარების მოწესრიგებას.

ფოტოფაქტი

ლიბანი

ისრაელი განაგრძობს ალვირახსნილ თარეშს სამხრეთ ლიბანში, ტერორსა და რეპრესიებს ატეხს თავს მშვიდობიან მცხოვრებლებს.

სურათზე: ისრაელი არამზადები თავიანთ პოზიციებზე ბრუნდებიან ოკუპირებულ სამხრეთ ლიბანში მორიგი სისხლიანი რეიდის შემდეგ.

აპ-საქდესის ფოტო.

არღვევენ ხელშეკრულებას

ფაქტის კომენტარი

ჟენევაში დამთავრდა ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების პირველი რაუნდი.

ხალხები ამ მოლაპარაკებაზე დიდ იმედებს ამყარებენ, რადგან სამართლიანად მიაჩნიათ, რომ მის შედეგებზეა დამოკიდებული, რა მიმართულებით განვითარდება შემდგომში არა მარტო საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა, არამედ მთლიანად ვითარება მსოფლიოში — გამალებული შეიარაღებისა და სამხედრო საშიშროების ზრდის მიმართულებით თუ საყოველთაო უშიშროების განმტკიცების, და მაშასადამე, ყველასათვის მტკიცე მშვიდობის მიმართულებით.

ადამიანთა დიდი უმრავლესობა დედამიწის ყველა კუთხეში მტკიცედ უჭერს მხარს მშვიდობასა და უშიშროებას, რომლებიც მნიშვნელოვნად განმტკიცდება, თუ ჟენევის მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდება. ამისათვის კი უკვე შექმნილია ხელშემწყობი პირობები. უწინარეს ყოვლისა, ეს არის საბჭოთა კავშირ-ამერიკის მორიგება იმის თაობაზე, რომ ჟენევის მოლაპარაკების საგანი უნდა იყოს იმ საკითხთა კომპლექსის განხილვა, რომლებიც ეხება კოსმოსურ და ბირთვულ შეიარაღებას —სტრატეგიული და საშუალო სიშორის შეიარაღებას, მეორე, ეს არის მორიგება, რომ მოლაპარაკების მიზანი უნდა იყოს გამალებული შეიარაღების თავიდან აცილება კოსმოსში და მისი შეწყვეტა დედამიწაზე. და ბოლოს, მესამე, ეს არის საბჭოთა კავშირის მთელი რიგი კონსტრუქციული ინიციატივები, რომელთა მიზანია შექმნას ხელსაყრელი ატმოსფერო მოლაპარაკებისათვის, კერძოდ: ცალმხრივი მორატორიუმი დაუწესდეს საშუალო სიშორის რაკეტების განლაგებასა და ევროპაში სხვა საპასუხო ღონისძიებათა შეწყვეტას. ამას შეიძლება კიდევ დავუმატოთ ისიც, რომ 1982 წლიდან მოქმედებს საბჭოთა კავშირის ცალმხრივი ვალდებულება პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი, ხოლო 1983 წლიდან — ცალმხრივი მორატორიუმი პირველმა არ გაიყვანოს კოსმოსში თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღი.

მაგრამ, როგორც ჟენევის მოლაპარაკების პირველი ტურის შედეგებმა ცხადყო, ვაშინგტონი არ დადგომია საბჭოთა კავშირთან მორიგების კურსს. ეს იქიდან ჩანს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საერთოდ უარი თქვა კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების დაუშვებლობის საკითხი განეხილა ბირთვული იარაღის შეზღუდვისა და შემცირების საკითხთან ერთად. ამრიგად, რეიგანის ადმინისტრაცია არღვევს იანვარში მიღწეულ მორიგებას სამივე მიმართულების ურთიერთკავშირის შესახებ — კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილების, ბირთვული სტრატეგიული შეიარაღების შემცირებისა და ევროპაში საშუალო სიშორის ბირთვულ შეიარაღებათა შემცირების შესახებ.

ამერიკის დედაქალაქში კვლავ ისწრაფვიან მიაღწიონ მსოფლიოში გაბატონებულ მდგომარეობას, რათა თავიანთი ნება უკარნახონ სხვა ქვეყნებსა და ხალხებს, და აქედან აქვთ ის ამბიციური, თუმცაღა კი სრულიად უპერსპექტივო გეგმები, რომ უზრუნველყონ სამხედრო უპირატესობა გამალებული შეიარაღების დაჩქარების გზაზე. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჯიუტად არ სურს გაიაროს საბჭოთა კავშირთან შეთანხმების გზის თავისი ნახევარი და ვაშინგტონი უგულებელყოფს საბჭოთა კონსტრუქციულ ინიციატივებს.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირი კვლავაც მტკიცედ იბრძოლებს ჟენევაში კონკრეტული ურთიერთმისაღები შეთანხმებებისათვის, რომელთა მეოხებითაც შესაძლებელი გახდება არა მარტო ბოლო მოვუღოთ გამალებულ შეიარაღებას, არამედ წინ წავიწიოთ განიარაღების საქმეში. ამ კეთილშობილურ საქმეში საბჭოთა კავშირს მხარს უჭერენ თანამედროვე მსოფლიოს მთელი საღად მოაზროვნე ძალები. ამოცანა ახლა ის არის, რომ ყველა ხალხისა და სახელმწიფოს ერთობლივი მოქმედებით დავამარცხოთ საერთო მოსისხლე მტერი — მსოფლიო ბირთვული კატასტროფის საფრთხე.

სენატის რეზოლუცია

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს პრეზიდენტ რეიგანს გადასინჯოს თავისი ის გადაწყვეტილება, რომ ეწვიოს ბიტბურგის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) სასფლაოს, სადაც დაკრძალული არიან ესესელი ჯალათები და ვერმახტის სხვა ვაი-მეომრები. დოკუმენტში, რომლის თანაავტორია კონგრესის ზედა პალატის 80 წევრი, ნათქვამია, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა „პატივი უნდა მიაგოს ჰიტლერის წინააღმდეგ ბრძოლაში ნაცისტთა ხელით დაღუპული მილიონობით უდანაშაულო მოქალაქის, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და მოკავშირე ქვეყნების მეომრების ხსოვნას".

ლონდონი. რეიგანის გადაწყვეტილება, გვირგვინებით შეამკოს ესესელი ჯალათების საფლავები, აღშფოთებით აღიქვეს დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ წრეებში. თემთა პალატაში გამოსვლისას ბრიტანეთის პარლამენტის წევრმა ლეიბორისტული პარტიისაგან დ. უინიკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბიტბურგის სასაფლაოზე რეიგანის მისვლა „უხეშად შეურაცხყოფს არა მარტო ფაშიზმის მსხვერპლთა ხსოვნას, არამედ ყველა იმათ, ვინც მეორე მსოფლიო ომის წლებში იბრძოდა ნაცისტური ტირანიის წინააღმდეგ".

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერიც კი, რომელიც, როგორც წესი, მხარს უჭერს ვაშინგტონის ყველა მოქმედებას, იძულებული იყო გამოჯვნოდა რეიგანის გადაწყვეტილებას და გამოთქვა აზრი, რომ „გაგებით ეკიდება" დ. უინიკის პოზიციას.

ვიქტორ დიმიტრის ძე კუპრაძე

საბჭოთა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 1985 წლის 25 აპრილს 81 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი და მექანიკოსი, მეცნიერების თვალსაჩინო ორგანიზატორი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქე ვიქტორ დიმიტრის ძე კუპრაძე.



ვ. კუპრაძე დაიბადა 1903 წლის 2 ნოემბერს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ყელაში. 1922 წელს ოქროს მედლით დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი და შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

1930 წელს, უნივერსიტეტში სწავლის დამთავრების შემდეგ, ვ. კუპრაძე ჩაირიცხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში.

1933-1935 წლებში ვ. კუპრაძე იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის სწავლული მდივანი. 1935 წელს იცავს სადოქტორო დისერტაციას და ბრუნდება საქართველოში. იგი დაინიშნა თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორად.

დიდი სამამულო ომის წლებში ვ. კუპრაძე მოქმედი არმიის რიგებშია. იგი მონაწილეობდა ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, იყო საფრონტო გაზეთის რედაქტორი.

დემობილიზაციის შემდეგ ვ. კუპრაძე დაინიშნა საქართველოს სსრ განათლების მინისტრად, 1954-1958 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორია, 1968-1981 წლებში—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, 1962 წელს მეცნიერი აირჩიეს საქართველოს მათემატიკოსთა საზოგადოების პირველ პრეზიდენტად.

ფართოა ვ. კუპრაძის მეცნიერული მოღვაწეობის დიაპაზონი. მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მათემატიკის მეცნიერების მთელი რიგი დარგების განვითარებაში. მისი გამოკვლევები ეხება ინტეგრალურ განტოლებათა და კერძოწარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორიას, მათემატიკურ ფიზიკას, დრეკადობის თეორიას, გამოყენებით მათემატიკას.

ვ. კუპრაძემ მათემატიკურად დაასაბუთა ფიზიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კანონი — გამოსხივების პრინციპი, გამოიკვლია ძირითადი და სპეციალური სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები. თერმოდრეკადობისა და მომენტური დრეკადობის თეორიის ამოცანები; შექმნა ამ ამოცანათა თეორიული კვლევის ზოგადი მეთოდები და შეიმუშავა გამომთვლელი მანქანების გამოყენებით მათი ამონახსნების რიცხვითი რეალიზაციების მოხერხებული ალგორითმები. მისი შრომები ფართოდ იბეჭდებოდა ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ.

ვ. კუპრაძე იყო სსრ კავშირის მექანიკისა და მათემატიკის ეროვნული კომიტეტების, მექანიკოსთა და მათემატიკოსთა საერთაშორისო კავშირის აღმასკომის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პლასტიკურობისა და სიმტკიცის სამეცნიერო საბჭოს ბიუროს, მთელი რიგი საბჭოთა და საზღვარგარეთული ჟურნალების რედკოლეგიების წევრი.

გამოჩენილი მკვლევარი თავის უპირველეს მოვალეობად მეცნიერთა კადრების აღზრდა მიაჩნდა. მისი ხელმძღვანელობით საქართველოში ახალგაზრდა მეცნიერთა მთელი თაობა აღიზარდა.

პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, დემოკრატიულობა და კოლექტიურობა მუდამ ახასიათებდა ვ. კუპრაძის მოღვაწეობას. იგი იყო სათნო ხასიათის, გულისხმიერი, პრინციპული ადამიანი, გამოირჩეოდა ყოველგვარი ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობით.

ვ. კუპრაძე იყო სკკპ XXIV ყრილობის დელეგატი, იგი არაერთგზის აურჩევიათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 1954-1968 წლებში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. იგი მონაწილეობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესიის მუშაობაში.

საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში ვ. კუპრაძის დამსახურებამ, მისმა საზოგადო მოღვაწეობამ, მაღალმა ადამიანურმა თვისებებმა მეცნიერს საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა მოუპოვა.

ვ. კუპრაძის სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობა მრავალი სახელმწიფო ჯილდოთი აღინიშნა. იგი დაჯილდოვდა სამი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის ორდენებით, ორი „საპატიო ნიშნის" ორდენით, მედლებით.

მეცნიერ-კომუნისტის ვ. კუპრაძის ცხოვრება და მოღვაწეობა პარტიის, ხალხის, სამშობლოს თავდადებული სამსახურის შესანიშნავი მაგალითია, მის სახელს არასოდეს დაივიწყებენ რესპუბლიკის მშრომელები.

ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, ვ. მ. არხიპოვი, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, ბ. ვ. ნიკოლსკი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩირქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, შ. კ. ზარტავა, ე. კ. ხარაძე, ვ. ს. ვლადიმიროვი, ს. მ. ნიკოლსკი, ს. ლ. სობოლევი, ა. პ. საყვარელიძე, ნ. ვ. გურგენიძე, ს. ვ. დურმიშიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, ა. ს. ფრანგიშვილი, ი. ვ. ფრანგიშვილი, ე. ა. სეხნიაშვილი, დ. ი. ჩხიკვიშვილი, ო. დ. ქინქლაძე, ჯ. გ. ლომინაძე, ვ. მ. ოკუჯავა, ი. ო. ანდრიაძე, ო. გ. გვახარია, ნ. პ. ვეკუა, თ. პ. ხოსიტაშვილი, ო. ი. ეჯიბაძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვ. დ. კუპრაძის დამკრძალავი კომისიისაგან

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვ. დ. კუპრაძის დამკრძალავი კომისია იტყობინება, რომ სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 1985 წლის 28, 29 აპრილს 20 საათზე, გამოსვენება — 30 აპრილს 16 საათზე განსვენებულის ბინიდან: ბარნოვის ქ. № 109.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 81 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვიქტორ დიმიტრის ძე კუპრაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სატკივარი არა მალავს...

ფელეტონი

ალმასხან ბიძია მხნე კაცი იყო, ყველამ ვიცოდით მისი უბედურება, ბიჭი — მიტუშა, ორ მაისს დაეღუპა, ბერლინთან. მთელმა ქვეყანამ რომ ღიმილისათვის მოიცალა, მაშინ დადუმდა ალმასხანი, ვერ მოიკლა კაცი თავს, თორემ მას შემდეგ რა იყო მისი სიცოცხლე, ჯერ წნევა მოეძალა, მერე ღვიძლს უჩიოდა, ბოლოს გულმა დაუწყო თამაში. უბნის ექიმმა ყურადღებით გასინჯა, და თქვა:

— სტაციონარია საჭირო!

მეზობლებში ხმა გავარდა — ალმასხან ბიძია საავადმყოფოში წევსო. ორშაბათს მთელი სახლი მასთან შევიკრიბეთ. ქალიშვილი ელენე და ორი შვილიშვილი სამზადისში იყვნენ. ორი დიდი ჩანთა მაგრად შეეკრათ და ღიმილით ხვდებოდნენ მეზობლებს.

დეიდა თამარი, ყველას „მამიდა" და ახლობელი, რატომღაც მოგვიანებით მოვიდა.

— ალმასხან, ბატონო მიბრძანდებით?.. — ყველაფრის მცოდნე ადამიანის იერით ჰკითხა დეიდა თამარმა ალმასხანს.

— ეჰ, მივდივარ ჩემო თამარ, მივდივარ... ჰამაკის გარდა ყველაფერი მიმაქვს, საპნელი, სასმელი, ტანსაცმელი,..

— ჰოდა... სწორია მაგი... მაგის პრაქტიკა დიდი მაქვს... კაი გამოხსენეთ, ალმასხან ბატონო, — და ელენეს მიუბრუნდა: — აბა, ჩემო ელენე... „ვალერიანკა" უნდა გავატანოთ, იოდი აუცილებლად, კუჭის აბები არ გამოგრჩეთ. აუცილებელია, არ ექნებათ!

— დეიდა თამარ, საავადმყოფოში მიდის, სამჭედლოში ხომ არა... „ვალერიანკა" „იქ" გექონდა კაცო თავზე საყრელად!.. — თქვა შოთამ და გაიცინა (იქ, ესე იგი კოლონიაში). — სხვებსაც გაეცინათ.

— რა გითხრათ, იცით? — გაბრაზდა დეიდა თამარი. — უმეტეს საავადმყოფოებში დიეტური კერძები არ მზადდება, ბევრს არა აქვს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არ ჰყოფნის ჭურჭელი, სამზარეულოს ინვენტარი, მაცივრები, თეთრეული და სხვა.

— რას ამბობ, დეიდა თამარ, რას... თქვა ნიკო მასწავლებელმა.

— რას ვამბობ და, რაც ზუსტად ვიცი... ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე 422 სტაციონარიდან 235-ში 1983-84 წლებში ავადმყოფებს დააკლდათ 73 ტონაზე მეტი ხორცი, 291 ტონა რძე, 340 ტონა თევზი, 881 ტონა კარტოფილი და ბოსტნეული, 19 ტონა ხაჭო, 229 ათასი ცალი კვერცხი, 3 ტონა კარაქი, 90 ტონა ხილი!

დეიდა თამარის მონოლოგმა ისეთი ფურორი მოახდინა, ფანჯარა რომ გაეღო და გაფრენილიყო, დამსწრეებს ასე არ გაუკვირდებოდათ. სიჩუმე ჩამოვარდა, ვერც ჰკითხეს დეიდა თამარს საიდან იციო... არადა, წაუხდათ გუნება!

— ჩვენი მთავარი ბუღალტერი იწვა ახლა საავადმყოფოში, ორ კვირაში მოარჩინეს და... აჭიკას ჭამდა კაცი გუშინ!—სიტყვის ბანზე ასაგდებად თქვა ელენემ და რატომღაც გაიცინა.

— იმან გინდა აჭიკა ჭამოს და გინდა ისრიმაყვალი! — წარბი შეკრა დეიდა თამარმა — შენ კი ჩემო შვილო, რასაც გეუბნებიან, გაატანე და თუ არ დასჭირდება, უკან წამოვიღოთ, ასე არ ჯობს?

— აბა, როგორ!

— აუცილებელია!

მეც ვარ საავადმყოფოში ნამყოფი! — გაისმა აქეთ-იქიდან.

და თუკი ვინმემ რამე იცოდა, მოხსნეს გუდას თავი.

— Серьезные недостатки выявлены в организации торговли продуктами требуемой кондиции и асортимента!.. — თქვა ბიძია ვასიამ და სათვალეს დაუწყო თვალიერება.

აბა, საავადმყოფოს რომ ღორის ხორცს, ეხვს, არასტანდარტულ კარტოფილს, უკონდიციო ბოსტნეულსა და ხილს მისცემ, ვინ იქნება კმაყოფილი!

ცოტაა თევზი, საკმარისი არ არის ცხიმგაცლილი რძე, ხაჭო, არაჟანი.

დიეტური პროდუქტების სანაცვლოდ სტაციონარებს ხშირად დიდი რაოდენობით აძლევენ ძვირად ღირებულ ბოსტნეულის კონსერვებს, ხილის წვენებს, კომპოტებს, მურაბებს, კანფეტებს, შედედებულ და პასტერიზებულ რძეს... ეს ხომ სახელმწიფო ქონების განიავებაცაა! — თქვა ჭიჭიკო ბიძიამ — პერსონალურმა პენსიონერმა.

სერგომ, რომელიც მეზობლობაში წიგნიერ კაცად იყო ცნობილი (ამბობენ, ახალგაზრდობაში არტისტობდა კიდეცო) ფეხი ფეხზე გადაიდო და თქვა:

— მახსენდება ჰაშეკის ერთი რომოები, სადაც საავადმყოფო პერიტონიტით დაავადებულ „სალასა" და არაყს მიირთმევს!

— ისინი დეზერტირები იყვნენ, ბიძია სერგო, ჩვენ ავადმყოფები ვართ! — თქვა ნანულამ, რომელსაც ორჯერ ჰქონდა გაკეთებული კუჭის ოპერაცია.

გაცხარდა კამათი. ამ მშვიდ და ალმასხან ბიძიას მოყვარულ ხალხს იმდენი სათქმელი და საფიქრალი ჰქონიათ, რომ ვესაც სად მოუხერხდა იქ ჩამოჯდა და საუბარმა დიდხანს გასტანა.

თურმე ყველამ იცის, რომ ზოგიერთ სტაციონარში ირღვევა სანიტარიული ნორმები. იპარავენ პროდუქტებს, ისიც ითქვა, რომ წამლების საყიდლად სტაციონარებს ფინანსები არ ჰყოფნითო, ამიტომ საავადმყოფოებს სააფთიაქო სამმართველოს ვალი აქვთო. იშვიათი როდია, როცა საავადმყოფოში მყოფი ახლობლისათვის ნათესავები ყიდულობენ წამლებს!

1984 წლის 9 თვეში ოთხ (თბილისის ექიმთა დახელოვნების რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, მცხეთის, საგარეჯოს) საავადმყოფოში ავადმყოფების ნათესავ-ახლობლებმა იყიდეს 15 დასახელების 46,1 ათასი მანეთის ღირებულების წამალი, ამას ისიც ემატება, რომ ზოგან საავადმყოფოში იმ წამალსაც არ იძლევიან, რომელიც აქვთ.

ისიც აღსანიშნავია, რომ ბათუმის, გორის, ქუთაისის, რუსთავის და სოხუმის მთელ რიგ საავადმყოფოებში უნიშნავენ დეფიციტურ წამლებს, რაც აუცილებელი არ არის.

უხეშად ირღვევა სამკურნალო საშუალებათა განაცხადების შედგენის წესი, ეს კი რაციონალური დაგეგმვის საშუალებას ასუსტებს.

საქმეს ისიც აფერხებს, რომ სამედიცინო მრეწველობა სისტემატურად არღვევს წამლების მიწოდების გრაფიკს. სათანადოდ არ არის მოწესრიგებული რესპუბლიკური სააფთიაქო ბაზა. ირღვევა წამლების მიღებისა და შენახვის წესი...

...ატმოსფერო ძალზე დაიძაბა, ბიძია ალმასხანის ოთახი ტყვიაწამლით სავსე კასრს დაემსგავსა.

მოხდა ის, რაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უყაირათობა, დაუდევრობა, უცოდინარობა, გამოჩნდა მითქმა-მოთქმის უსასრულოდ დიდი წრე, გამოჩნდა გულგატეხილობა და საზოგადოებასა და სამედიცინო მომსახურების სოციალურ ინსტიტუტს შორის კონფლიქტის რეალური საშიშროება. ამის მიზეზია ისიც, რომ ზოგჯერ განაწყენებული ადამიანი განუკითხავად ლანძღავს ყველა მედიკოსს და ჩვენი უამრავი შესანიშნავი ექიმის ავტორიტეტს ლაფს ასხამს. ეს კი ხელყოფაა ჩვენი კონსტიტუციური უფლებისა — ამის ნებას ნურავის მივცემთ, უფასო მკურნალობა ჩვენ მამათა სისხლის ფასად მოვიპოვეთ...

ბიძია ალმასხანი? რით დამთავრდა ბიძია ალმასხანის ამბავი?

მოხუცი ერთხანს ჩუმად იყო, ყველას მოუსმინა, ყველას თავი დაუქნია, მერე წარბშეკრული წამოხტა და ხმამაღლა შესძახა:

— რა შემატყვეთ მე ავადმყოფის, ვინ არის აქ ავადმყოფი... რა მჭირს მე, ხალხო საავადმყოფოში წასასვლელი, მომეცით აჭიკა, ტყემალი, ტყლაპიც მომეცით... რაც გინდათ, მომეცით და რაც გინდათ, მიქენით, მე საავადმყოფოში არ წავალ, რა მინდა საღ-სალამათ კაცს საავადმყოფოში!

იქვე წინასწარ გამზადებულ ვალერიანის წვეთებს წამოავლო ხელი, ჭიქაში დაუთვლელად ჩაუშვა, გადაკრა და სავარძელში ძლივს დაეშვა!

... ღამით მოხუცს სიცხემ აუწია, უბნის ექიმმა ღვთისნიერმა მოხუცმა, გულდასმით გასინჯა ავადმყოფი და თქვა:

— სტაციონარია საჭირო!..

სსსსუ! — შესძახეს ექიმს ახლობლებმა.

ექიმი ვერაფერს მიხვდა, გაგულისდა, თუ არ დამიჯერებდით, რაღას მეძახოდითო.

— თქვენი ჭირიმე, სტაციონარს ვერ ვენდობითო...

• • •

მკითხველო, ხომ არ გაგაკვირვათ ალმასხან ბიძიასთან შეკრებილი საზოგადოების ამ საკითხში აგრერიგად განსწავლულობამ?

ცალკე ფაქტი და ყურმოკრული ამბავი კი არა, განზოგადებული მონაცემების და მდგომარეობის ღრმა ანალიზი.

საიდან?

ჟანრის თავისებურება ფელეტონისტს არ უკრძალავს ფანტაზიის მოხმობას, ზოგჯერ დაუჯერებელი სიტუაციის შექმნასაც კი, თუ იგი სინამდვილის გადმოსაცემად არის მოგონილი.

ეს ფაქტები უფრო ზუსტად ასახულია დოკუმენტში, რომელსაც „რესპუბლიკის სტაციონარებში ავადმყოფთა სამკურნალო კვებისა და მედიკამენტოზური მომსახურების საქმეში ნაკლოვანებათა შესახებ" — ეწოდება.

მეც ვისარგებლე ჩემი უფლებით და ამ ფელეტონში გამოვიგონე ბიძია ალმასხანი, მისი გულშემატკივრები, ხოლო ფაქტები, გადაუდებელ რეაგირებას რომ მოითხოვს, ზუსტად ალენუსხე — ისინი ხომ გამოხშეურებული იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ, რომლის რჩევითაც დაიწერა ეს ფელეტონი.

რ. დვალიშვილი.

თანამედროვე ქართული კერამიკა

მოსკოვში გამომცემლობა „სოვეტსკი ხუდოჟნიკმა" 30.000 ტირაჟით (რუსულ და ინგლისურ ენებზე) დასტამბა ფერადი ილუსტრირებული ალბომი „თანამედროვე ქართული კერამიკა", რომლის შემდგენელი და ტექსტის ავტორია საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ალდე კაკაბაძე.

საქართველოში კერამიკული ხელოვნების განვითარების მოკლე მიმოხილვის შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ თანამედროვე ქართული მხატვრული კერამიკის აღორძინება თბილისის სამხატვრო აკადემიაში კერამიკის კათედრის დაარსებით იწყება. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით კათედრის გამგეს ა. ფიცხელაურს და მხატვარ პედაგოგებს დ. ციციშვილს, ზ. მაისურაძესა და ნ. გომელაურს.

ალბომ-კატალოგში თბილისის სამხატვრო აკადემიის აღზრდილი სამოცდაათი მხატვარი-კერამიკოსია წარმოდგენილი. მოცემულია თითოეული მათგანის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და ილუსტრირებულია მათი რამდენიმე ნამუშევარი.

სასიამოვნოა, რომ ალბომი პოლიგრაფიულად მაღალ დონეზეა გამოცემული, მნიშვნელოვანი წვლილი უდევს ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის თბილისის სპეციალიზებულ ექსპერიმენტულ ლაბორატორიას (სადაც ნამუშევრების ფოტოგადაღება მოხდა).

(„კომუნისტის" კორ.).

„ჩვენი პატარა ხელებით"

— **ასე** ჰქვია გამოფენას, რომელიც გაიხსნა ქალაქ ჭიათურის მხატვრის სახლის საგამოფენო დარბაზში.

ქალაქის განათლების განყოფილება, სასკოლო რეფორმის შესაბამისად, მნახველს სთავაზობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შრომითი სწავლების დროს შეკერილი ნაწარმის ნიმუშებს.

აქ გამოფენილია ბავშვთა სეზონური ტანსაცმელი, სხვადასხვა მოდელის სასკოლო ფორმები, სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვთა კოსტიუმები, კაბები, პერანგები, პიონერული ფორმები, პალტოები, თოჯინების მორთულობა და სხვა.

გამოფენამ ქალაქის მშრომელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ა. შარიქაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ქალაქს — მწვანე სამოსელი

ტყიბული. (საკ. კორ.). დაიწყო მეშახტეთა ქალაქის — ტყიბულის კეთილმოწყობა და გამწვანება. ქუჩებში, სკვერებსა და საავტომობილო გზების ნაპირებზე დაირგვება 6 ათასამდე ხე და ბუჩქი.

ქალაქის მწვანე სამოსელს შეავსებს კაკალი, აკაცია, ტყემალი, ტირიფი და ცაცხვი. 6 ჰექტარზე მეტ ფართობს ყვავილები დაიკავებს.

გამწვანების სამუშაოებში 50-ზე მეტი საწარმო-დაწესებულება მონაწილეობს. ტყიბულელებმა 2535 ძირი კაკალი და ტყემალი დარგეს. ნერგების დიდი უმრავლესობა სკოლის სანერგეებში არის გამოყვანილი.

ბულგარული იუმორი

[illegible]

[illegible]

„კომუნისტის" საკვირაო საკითხავი

„კომუნისტის" პუბლიკაცია

ძველი ფოლიანტები მოგვითხრობენ

საქართველოს ისტორიის უცნობი მასალები ესპანეთიდან

შარშან, წლის ბოლოს, სამი თვით ესპანეთში ვიმყოფებოდი. მივლინების ძირითადი მიზანი იყო ესპანეთის უნივერსიტეტებსა და სხვა სამეცნიერო ცენტრებში წამეკითხა ლექციები შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურულ პროცესსა და ბიზანტიურ და დასავლეთ ევროპულ მწერლობებთან მის მიმართებებზე. საკმაოდ ხანგრძლივმა მივლინებამ იმის საშუალებაც მომცა, რომ რამდენადმე გავცნობოდი ამ ქვეყნის არქივებსა და წიგნთსაცავებში დაცულ საქართველოს ისტორიის პირველწყაროებსაც. ამის სტიმულს მაძლევდა ესპანეთის საისტორიო არქივებში ქართველ ისტორიკოსთა (ილია ტაბაღუა, ჯუანშერ ვათეიშვილი) ნაყოფიერი მუშაობის რამდენიმე ფაქტი. ჩემი ყურადღება მიიპყრო როგორც გამოქვეყნებულმა საისტორიო მასალამ — ესპანელი ელჩებისა და მოგზაურების მოგონებებმა და დღიურებმა, ასევე მადრიდის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულმა უცნობმა ხელნაწერებმა, ასევე ძველმა რუკებმა და ესპანეთის სახელმწიფო არქივებში შემონახულმა ქართველ მეფეებთან მიმოწერის საბუთებმა.

ევროპის ქვეყნებთან ძველი საქართველოს ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი იწყება რომის და შემდგომში ბიზანტიის იმპერიასთან მჭიდრო ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურული კონტაქტებით. ჯვაროსნული ომების ეპოქიდან მოკიდებული, ხშირდება ქართველ მეფეთა მიმოწერა რომის პაპებთან. ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ ქართველები დაჟინებით ეძებდნენ რეალურ მეგობრულ კავშირს ქრისტიანული დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ქართველთა პოლიტიკური ორიენტაცია, ერთი მხრივ, რუსეთისაკენ ისწრაფოდა, მეორე მხრივ კი — ქრისტიანული ევროპისაკენ. დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ სამეფოთაგან ქართველები განსაკუთრებულ ყურადღებას ესპანეთისადმი ამჟღავნებდნენ.

1453 წელს თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ თავზარი დასცა მთელ საქრისტიანო მსოფლიოს. არაერთი ქრისტიანული სახელმწიფოს მეთაურს და რომის მრავალ პაპს შეუდგენია თურქეთის წინააღმდეგ კოალაციის შექმნის გეგმა. ქართველი მეფეებიც იჩენდნენ ამგვარ ინიციატივას.

1495 წლის დამლევს ქართველთა მეფეს კონსტანტინე II-ს ეგვიპტის სულთანთან გაგზავნილმა საკუთარმა დესპანმა იერუსალიმიდან ესპანეთის მეფის ელჩი ჩამოუყვანა. ამგვარად შემოაღწია საქართველოში ესპანეთის არაბთაგან განთავისუფლების და ქრისტიანი დედოფლის იზაბელას წარმატებების ამბავმა. ამავე წლის ადრე გაზაფხულზე კონსტანტინე მეფემ ესპანეთის ელჩს დედოფალ იზაბელასთან თავისი დესპანებიც გააყოლა ძვირფასი ძღვენითა და წერილებით და თან კონსტანტინოპოლის გასათავისუფლებლად ერთიანი ლაშქრობა შესთავაზა. კონსტანტინეს ელჩობა ესპანეთისაკენ ლიტვა-პოლონეთის ანტითურქული ორიენტაციის სახელმწიფოზე გავლით წასულა. აქ ელჩებს სამეფო კარისათვის გაუცნიათ ქართველთა მეფის წერილი დედოფალ იზაბელასადმი. ამ გზით მოხვედრილა ამ წერილის რუსული თარგმანი სახელმწიფო საბჭოზე განხილულ სხვა მასალებთან ერთად ეგრეთ წოდებულ „ლიტვის მეტრიკის" წიგნში.

საქართველოდან ესპანეთში გაგზავნილი წერილის ძველი რუსული თარგმანი XIX საუკუნის I ნახევარში გამოქვეყნდა და შემდგომში ქართველ ისტორიკოსთა მრავალგზისი განხილვის საგანი გახდა (ივანე ჯავახიშვილი, იასე ცინცაძე და სხვ.).

როგორც ირკვევა, არც ესპანეთის სამეფო კარს დაუტოვებია კონსტანტინე ქართველთა მეფის წერილი უყურადღებოდ. ესპანეთის მეფის ფერდინანდისა და დედოფალ ელისაბედის (იზაბელას) საპასუხო წერილის მოკლე შინაარსი ჩვენს სამეცნიერო წრეებს გააცნო უნგრელმა მკვლევარმა ლ. ტარდიმ. ჩვენ მივაგენით ამ წერილის სრულ ტექსტს, გამოქვეყნებულს ანტონიო დე ლა ტორეს მიერ („დოკუმენტები კათოლიკე ხელმწიფეთა საერთაშორისო ურთიერთობის შესახებ", ტ. V, ბარსელონა, 1965 წ., გვ. 114-115); დოკუმენტი დაცულია ქ. ბარსელონაში „არაგონის სამეფო არქივში", საკანცელარიო საქმეები, რეესტრი 3607, ფურცლები 186-187. წერილი დაწერილია 1495 წლის 30 ივლისს ქ. ბურგოსში. ისევე როგორც ამ პერიოდის სხვა სამეფო წერილებს, ამ წერილსაც ხელს აწერს კანცელარიის მდივანი ლუის გონსალესი. წერილი შედგენილია ლათინურ ენაზე.

მოგვყავს ჩვენ მიერ შესრულებული ქართული თარგმანი ესპანეთის მეფის ფერდინანდისა და დედოფლის იზაბელას საპასუხო წერილისა ქართველთა მეფის კონსტანტინესადმი:

„ფერდინანდი და ელისაბედი, ღვთის წყალობით მეფე და დედოფალი კასტილიისა, ...გულწრფელად მიესალმებიან უბრწყინვალეს კონსტანტინე პანკრატიონს, ქართველთა საუკეთესო და ულირსეულეს იმპერატორს. მივიღეთ თქვენი წერილები ღირსეული მონაზვნების, თქვენი ბრწყინვალების მიერ ჩვენთან გამოგზავნილი ელჩების, ძმების ნილოსისა და ზაქარიას ხელით; რომელთა შემწეობით ამავე დროს გავიგეთ ზოგიერთი რამ, რაც მათ თქვენი სახელით გვიამბეს. ჩვენ ძლიერ გვახარებს, უწინარეს ყოვლისა, თქვენი რწმენა, რუდუნება და დაცვა კათოლიკური რელიგიისა; და, საპირისპიროდ ამისა, განვიცადეთ არცთუ მცირე ტკივილი, როცა გვიამბეს იმ წუხილის, მღელვარებისა და ხიფათის შესახებ, რომელსაც განიცდის თქვენი ბრწყინვალება ყოველდღიურად. ამისდა მიუხედავად, ყველა შემთხვევაში უნდა მადლი შევწიროთ უზენაეს ღმერთს და ბევრი ვილოცოთ მის წინაშე იმისათვის, რომ არა მხოლოდ თქვენ, არამედ მთელი ქრისტიანი ხალხი გაათავისუფლოს ურჯულოთაგან, დაგიცვათ თქვენ და მოგანიჭოთ მტერთა ძლევა. არ გვეეჭვება, რომ მოწყალე ღმერთი აღასრულებს ამას, თუ თქვენი ბრწყინვალება მომავალშიც, ისე როგორც დღეს, მტერთაგან თავდასაცავად იხმარს ყველა ღონეს და მგზნებარე სულით ილვაწებს კათოლიკური რწმენის დაცვისა და განდიდებისათვის. და იმისათვის, რომ თქვენ აკეთოთ ეს და უარი არ თქვათ ამ განზრახვაზე, ჩვენ მიწყივ ვევედრებით თქვენს ბრწყინვალებას და მოგიწოდებთ ღვთის სახელით. რაც შეგვეხება ჩვენ, აქამომდე სწორედ ამგვარად ვიქცეოდით, და, თუ უფალი ინებებს, მომავალშიც ამგვარად ვიმოქმედებთ. მართლაც, ბეტიკაში, ჩვენს სამფლობელოთაგან ყველაზე წარჩინებულ და ლამაზ პროვინციაში, ღვთის წყალობით დავიბრუნეთ გრანადის სამეფო, რომელსაც ლიბიიდან მოსული არაბი მეფეები რვაასი წლის განმავლობაში ფლობდნენ, და ვაიძულეთ აგარიანნი გადასულიყვნენ ლიბიის ზღვაზე. გარდა ამისა, სრულად განვასხეთ ჩვენ სამეფოთა და სამფლობელოთაგან ყველა იუდეველი, რომელნიც დიდ-დიდ გუნდებად დაძრწოდნენ, მიჰქონდათ რა ზიანი ყველა კუთხეში. მაგრამ თუ, როგორც ჩვენ გვსურს და მოველით, ღვთაებრივი უზენაესობა ხელს შეუწყობს ჩვენს მისწრაფებებს, არავითარ შემთხვევაში არ განვუდგებით საკუთარ განზრახვას, რამეთუ არაფერი სურს ისე ძლიერ ჩვენს მეფეს ფერდინანდს, ვიდრე გარდასხას ჯარი აფრიკაში და შეუსვენებლივ იბრძოლოს კათოლიკური რწმენისათვის. სხვა მხრივ ჩვენ ძლიერ დავაფასეთ საჩუქრები, რომლებიც მოხსენიებულმა ელჩებმა თქვენი ბრძანებების თანახმად ჩვენ მოგვართვეს; დიდ მადლობას ვუძღვნით მათთვის თქვენს დიდბუნოვნებას. ამის გამო სულიერი მგზნებარებითა და კმაყოფილებით აღგითქვამთ მოვიხმაროთ ჩვენი ძალა, საშუალებანი, უფლებანი, სამეფო და მამულები თქვენი პატივისა და სარგებლობისათვის და ქრისტიანული რწმენის ამაღლებისა და განდიდებისათვის. რაც შეეხება სხვა საკითხებს, რომელთა შესახებ მოხსენიებულმა ელჩებმა გვიამბეს, ჩვენ მათ ვუპასუხეთ ვრცლად და დაწვრილებით. დაე, მათ გიამბონ თქვენ; დაე, თქვენმა ბრწყინვალებამ კეთილად ირწმუნოს; დაე, უკვდავი ღმერთი მფარველობდეს და სწყალობდეს თქვენს მეფურ პიროვნებას, თქვენს სახელმწიფოს და სამეფოს თავისი მზრუნველობით..."

ეს წერილი ბევრ საკითხს სვამს ქართველ ისტორიკოსთა წინაშე. ჩვენს კომენტარებსაც მასზე საგანგებოდ გამოვაქვეყნებთ. ესპანეთის სამეფო კართან მიმოწერას საქართველოს გართულებული პოლიტიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად არსებითი შედეგი არ მოჰყოლია. საინტერესოა, გარდა იმ ლოცვა-კურთხევისა და დარიგებებისა, რაც ესპანეთის მეფემ და დედოფალმა კონსტანტინეს შემოუთვალეს, ფიქრობდნენ თუ არა ისინი საქართველოსათვის რაიმე ფორმით რეალურ დახმარებაზე. ამ თვალსაზრისით ყურადსაღებია წერილის ერთი ადგილი: „...სულიერი მგზნებარებითა და კმაყოფილებით აღგითქვამთ მოვიხმაროთ ჩვენი ძალა, საშუალებანი, უფლებანი, სამეფო და მამულები თქვენი პატივისა და სარგებლობისათვის"..., — სწერდნენ კათოლიკე ხელმწიფენი კონსტანტინე მეფეს. რა იმალებოდა ამ სიტყვების მიღმა, წერილიდან ძნელად ამოსაცნობია. საქმე ის არის, რომ სახელმწიფოებრივი საქმეების ძირითად დეტალებზე აზრთა გაზიარება იმ დროს ზეპირი გზით წარმოებდა. მეფე და დედოფალიც ადასტურებენ ამას: „რაც შეეხება სხვა საკითხებს, რომელთა შესახებ მოხსენიებულმა ელჩებმა გვიამბეს, ჩვენ მათ ვუპასუხეთ ვრცლად და დაწვრილებით". რა უპასუხეს ესპანეთის მეფე-დედოფალმა ელჩებს? რა კავშირი აქვს საქართველოს მძიმე პოლიტიკურ სიტუაციასთან ესპანეთის სამეფო კარის სურვილს, რასაც მეფე და დედოფალი კონსტანტინეს ატყობინებენ: „არაფერი სურს ისე ძლიერ ჩვენს მეფეს ფერდინანდს, ვიდრე გარდასხას ჯარი აფრიკაში და შეუსვენებლივ იბრძოლოს კათოლიკური რწმენისათვის"? რა მიმართება შეიძლება ჰქონდეს ამ განზრახვას კონსტანტინე მეფისა და აფრიკის ერთ-ერთი მაჰმადიანი სულთნის, ეგვიპტის მამლუქ ხალიფა აშრაფ სეიფის მოლაპარაკებასთან? ამ განზრახვათა და ვარაუდთა ამოცნობა დღეისათვის შეუძლებელია. ესპანეთის მეფისა და დედოფლის სიტყვიერი დანაბარები არათუ ჩვენამდე, თვით კონსტანტინე მეფემდე მივიდა თუ არა, ისიც კი არ ვიცით.

ქართველთა მეფის კონსტანტინე II-ის ანტიოსმალური კოალიციის შექმნის უშედეგო მცდელობის შემდეგ ერთი საუკუნე გავიდა. ოსმალეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის საკითხი ისევ დღის წესრიგში იდგა. XVI საუკუნის დამლევს ამგვარი კოალიციის შექმნა რომის პაპმა კლიმენტი VIII-მ და გერმანიის იმპერატორმა რუდოლფ II-მ ითავეს. მათ წერილებს დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურა ქართლის მამაცი მეფე, ოსმალეთის დაუძინებელი მტერი სიმონ I. მცირე აზიაში შეიკრა ანტიოსმალური კოალაცია სპარსეთის შაჰის აბასის, ქართლის მეფის სიმონის და კახეთის მეფის ალექსანდრეს მონაწილეობით. ქართველებმა კვლავ მიაპყრეს იმედის თვალი იმხანად ძლიერ ესპანეთის სამეფოს, სადაც მეფობდა სახელგანთქმული მეფე ფილიპე II. 1596 წლის აგვისტოში სიმონს წერილები მიუწერია ფილიპე მეორისადმი, უცნობებია ოსმალთა წინააღმდეგ აღმოსავლეთის სამი მეფის შეკავშირების ამბავი, უთხოვია, კავშირი დაემყარებინა გერმანიის იმპერატორისა და ტრანსილვანიის მთავართან, რათა მათაც დაეწყოთ სამხედრო ოპერაციები თურქეთის წინააღმდეგ.

სიმონ ქართველთა მეფის წერილები ფილიპე მეორისადმი ესპანეთში, სიმანკის არქივში იპოვა და ფრანგული თარგმანებითურთ გამოაქვეყნა არმენისტმა ფრედერიკ მაკლერმა 1920 წელს. შემდგომში ამ პუბლიკაციასა და ევროპის სხვა არქივებში დაცულ ცნობებზე დაყრდნობით სიმონ მეფის მოღვაწეობა მრავალგზის იქნა განხილული (ვ. გაბაშვილი, ლ. ტარდი, ი. ტაბაღუა). როგორც ირკვევა, არმენისტმა ფ. მაკლერმა სიმანკის არქივის სახელმწიფო დოკუმენტების 703-ე შეკვრიდან (ე. ლეგ. 703), მხოლოდ ის მასალა გამოაქვეყნა, რომელიც სიმონის სომხურ ენაზე გაგზავნილი ერთი წერილის ინტერპრეტაციისათვის იყო საჭირო. ამავე საარქივო საქმეში სიმონ მეფის წერილების თაობაზე შენახულია სხვა დოკუმენტიც, რისთვისაც ფ. მაკლერს ყურადღება არ მიუქცევია. დღემდე არც ამ დოკუმენტის ტექსტი ყოფილა გამოქვეყნებული და არც მასში დაცული ცნობები გამხდარა ქართველ ისტორიკოსთა განხილვის საგანი.

დოკუმენტი (სიმანკის არქივი, ე. ლეგ. 703,) რომლის ქსეროასლი ჩვენს ხელთ არის, წარმოადგენს ფილიპე II-ის სამეფო კარზე შესრულებულ ჩანაწერს, გამიზნულს სიმონ მეფისადმი საპასუხო წერილის დასაწერად. დოკუმენტი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი არის სიმონ მეფის ბერძნულ ენაზე გაგზავნილი წერილის მოკლე რეზიუმე, რომელიც უნდა მოხსენდეს ფილიპე მეორეს. იგი დაწერილია ორ ფურცელზე, მარცხნივ დატოვებულია საკმაოდ ფართო აშია, თითქმის ნახევარი გვერდის ოდენობისა. მეორე ნაწილი ამ დოკუმენტისა მიწერილია აშიაზე და, როგორც ჩანს, სხვა დროს არის შესრულებული, იგი უნდა წარმოადგენდეს ფილიპე მეორის პასუხს.

ვაქვეყნებთ ამ დოკუმენტის ქართულ თარგმანს.

ძირითადი ტექსტი:

„რეზიუმე წერილისა მისი უდიდებულესობის ქართველთა ბატონისა და მთავრის სიმეონისათვის.

რომ არიან რა თვითონ და მისიანები თურქის მოხარკენი, გადაწყვიტეს აღდგნენ მის წინააღმდეგ, რისთვისაც მოუწოდა მას იმპერატორმა თავისი წერილებით.

ასეთივე გადაწყვეტილება მიუღიათ აგრეთვე აღმოსავლეთის მთავარს ალექსანდრეს და შიაბეს სპარსელს და სამივე მთავარს მტკიცედ გადაუწყვეტიათ იბრძოლონ თურქის წინააღმდეგ და დაამსხვრიონ მისი რქა წმინდა ქალაქის იერუსალემის და ქრისტიან ხალხთა გასათავისუფლებლად.

და ამისათვის თხოვენ მის უდიდებულესობას გაერთიანდეს იმპერატორთან და არ მისცეს მას უფლება თურქთან დაზავებისა, რათა მასთან ერთად არ წავიდეს მათ წინააღმდეგ.

რომ იგი და მასთან ერთად ყველა დიდი მთავარი მზად არიან დაითმინონ ტანჯვა და აღესრულონ ქრისტიანული რწმენისათვის.

ღმერთო ჩემო, აი მცდელობა, რათა, როგორც ითქვა, იერუსალემი და უფლის საფლავი დაბრუნდეს ქრისტიანთა ხელში, რის რწმენაშიც იგი არის მყარი და უცვლელი, რათა ეწამოს და მოკვდეს მისთვის და თქვენი უდიდებულესობისა და იმპერატორისათვის.

რომ თქვენმა უდიდებულესობამ ჩათვალოს იგი ღირსად პასუხისა და მოსმენისა და რომ შეიძლებოდეს პასუხის მიცემა მომტანისათვის.

ასევე ითხოვს, რომ მისი უდიდებულესობა თავისი წერილებით შეუთანხმდეს სპარსეთის მეფეს, რათა საუკეთესოდ განახორციელოს თავისი კეთილი განზრახვა და დაასრულოს საქმე".

აშიაზე მინაწერი:

„ეპასუხოს მათ გამამხნევებლად, რათა გააგრძელონ შეუპოვრობა და გააგზავნოს წერილი ბერძნულად, აცნობოს, რა მოუვიდა სპარსელს.

ამის ასლი გაეგზავნოს დონ გილიენს, რათა დაეხმაროს მათ იმპერატორის წინაშე.

გააგებინეთ ამის შესახებ ჰერცოგ დე სესას".

სიმანკის არქივის სახელმწიფო საქმეების 703-ე შეკვრაში არის კიდევ ერთი ფურცელი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ამ დოკუმენტის თავფურცლად. მასში იკითხება იმავე საკანცელარიო ხელით შესრულებული რამდენიმე სტრიქონი:

„რეზიუმე ქართველთა მთავრის წერილისა.

უპასუხა მისმა უდიდებულესობამ ქართველს ბერძნულ ენაზე [.] ივლისს 98 და მიწერა ამის შესახებ ჰერცოგ დე სესას და დონ გილიენ დე [..] კლემენტეს".

გამოქვეყნებულ დოკუმენტს და სიმანკის არქივში დაცულ სიმონ მეფის წერილებს ჩვენ შემდგომში უფრო დაწვრილებით მიმოვიხილავთ. ამჯერად მხოლოდ იმაზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას, რომ, როგორც ჩანს, სიმონ მეფისა და ფილიპე მეორის დიპლომატიური ურთიერთობა ორმხრივი იყო. ესპანეთის სამეფო კარზე სიმონის თხოვნა ერთგვარად ყურად უღიათ, საგანგებო წერილები გაუგზავნიათ გერმანიის იმპერატორისა და რომის პაპის კარზე ესპანეთის წარმომადგენლებისათვის (დონ გილიენი და ჰერცოგი დე სესა). ასევე 1598 წელს გამამხნევებელი წერილი გაუგზავნიათ სიმონ მეფისათვის. მაგრამ სიმონ მეფის სურვილებს განხორციელება არ ეწერა. გარდა იმისა, რომ არსებობდა მნიშვნელოვანი ობიექტური ხელშემშლელი მიზეზები, სიმონ მეფეს ბედიც არ სწყალობდა. ესპანეთის სამეფო კარიდან სიმონის წერილებზე პასუხების გაგზავნიდან ორიოდე თვეში, 1598 წლის 13 სექტემბერს, თავის რეზიდენციაში, ესკორიალის სამეფო სასახლეში, ხანგრძლივი და მტანჯველი ავადმყოფობის შემდეგ ფილიპე მეორე გარდაიცვალა.

ქართველ მეფეთა ცდები დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და, კერძოდ ესპანეთიდან, რეალური პოლიტიკური და სამხედრო დახმარების მისაღებად უშედეგო გამოდგა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებს თავიანთი დამოკიდებულება ჰქონდათ მუსლიმანურ აღმოსავლეთთან, კერძოდ, თურქეთთან და სპარსეთთან, და საგარეო ურთიერთობაში სხვა, მათთვის უფრო ახლობელი და გადაუდებელი პრობლემები აწუხებდათ. გარდა ამისა, როგორც სამართლიანად შენიშნავს ივანე ჯავახიშვილი, „საქართველოს პოლიტიკოსებს ესპანეთის სამეფოს სამხედრო ძლიერებაზედაც გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდათ, ვერც ის გარემოება გაუთვალისწინებიათ, თუ რა დიდი მანძილისა და, მაშასადამე, რამდენი დაბრკოლების დაძლევა იყო საჭირო, რომ ესპანეთიდან კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ დაეწყოთ ბრძოლა".

ქართველთა საგარეო პოლიტიკაში მეორე ხაზიც არსებობდა. XV საუკუნიდან მოკიდებული, ქართველი პოლიტიკოსები მეგობრული ურთიერთობის დამყარებას ცდილობენ მოსკოვის დიდ სამთავროსთან. როგორც ცნობილია, ეს ცდა 1783 წლის გეორგიევსკის ხელშეკრულებით დაგვირგვინდა. ამ აქტს დიდი საერთაშორისო გამოხმაურება ჰქონდა. ჩვენი ყურადღება მიიქცია ესპანეთის სახელმწიფო არქივებში დაცულმა ერთმა წერილმა, რომელშიც ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს თავისი წარმომადგენელი ბერლინიდან ატყობინებს რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების ამბავს. წერილი ინახება სიმანკის არქივის სახელმწიფო სამდივნოს დოკუმენტებში, (შეკვრა 6602, ფურც. 163), ქართულ ენაზე ეს წერილი დღემდე თარგმნილი არ ყოფილა და მისი მონაცემებისათვის, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, გეორგიევსკის ხელშეკრულებაზე მსჯელობისას ქართველ მეცნიერებს ყურადღება არ მიუქცევიათ. მოგვყავს წერილის თარგმანი სრული სახით:

„თქვენო აღმატებულებავ, ჩემო ძვირფასო ბატონო, მივიღე თქვენი აღმატებულებისაგან წერილი, რომელშიც მიდასტურებთ ჩემი ოთხი, ამავე თვის 2 რიცხვისა და 29 ივლისის წერილების მიღებას.

ბატონმა გრაფმა დე არანდამ მიმდინარე თვის 5-ში გადმომცა სასიამოვნო ცნობა ვერსალში 3 რიცხვში ესპანეთის, საფრანგეთისა და ინგლისის სამეფოთა საბოლოო შეთანხმების თაობაზე; ასევე ცნობა იმავე დღეს პარიზში ბრიტანეთის სამეფოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელშეკრულების გაფორმებისა იმ ერთადერთი განსხვავებით, რომ ის არის წინასწარი, რომელსაც, როგორც საბოლოოს, დასჭირდება რატიფიკაცია; და აგრეთვე ამბავი წინასწარი შეთანხმების ხელმოწერისა წინა დღეს პარიზში ინგლისსა და ჰოლანდიას შორის.

დღეს ამ დედაქალაქში გავლით იმყოფებოდა ინგლისელი კურიერი, გაგზავნილი ლონდონიდან პეტერბურგში. მან აქ ვერ იპოვა ინგლისის მინისტრი, რომელიც წასულა საქსონიის მთავრის, კურლანდიის ჰერცოგის კარზე, რათა გატაროს 15-ოდე დღე ქალაქგარეთ რეზიდენციაში, სადაც ამჯერად ეს მთავარი იმყოფება.

ამ სამინისტრომ მიიღო შეტყობინება, რომ საქართველოს მთავარმა ერაკლიმ, რომელსაც რუსეთის იმპერატრიცამ გაუგზავნა სკიპტრა და გვირგვინი, მიიღო ეს საპატივცემლო ნიშნები, გამოაცხადა რა თავი ვასალად და დამოკიდებულად რუსეთის სამეფოზე. საქართველოს მთავარმა სალომონმა, რომელსაც ასევე გაეგზავნა საპატივცემლო ნიშნები, მათზე უარი თქვა და ამჯობინა შეენარჩუნებინა თავისი დამოუკიდებელი მბრძანებლობა.

უფალმა დაიფაროს თქვენი აღმატებულება მრავალ წელს, როგორც ეს მე მსურს.

ბერლინი, 16 სექტემბერი 1783 წლისა.

(ხელმოწერა) თქვენო აღმატებულებავ, ვეამბორები თქვენს ხელს
თქვენი უმორჩილესი მსახური
სიმონ დე ლას კასას

(ქვემოთ) მის აღმატებულებას გრაფ დე ფლორიდაბლანკას. (გარდიგარდმო მინაწერი წერილზე):

რომ გავლით იმყოფებოდა პეტერბურგისკენ მიმავალი ინგლისელი კურიერი.

რომ ბატონმა გრაფმა დე არანდამ აცნობა მას სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერა.

რომ მთავარმა პრინცმა ერაკლიმ გამოაცხადა თავისი თავი ცარიცას ვასალად, მაგრამ პრინც სალომონს სურს შეინარჩუნოს თავისი დამოუკიდებლობა.

გაიგზავნოს დახურულად".

წერილი მრავალმხრივ არის საინტერესო. იგი დაწერილია გეორგიევსკში შეთანხმების ხელმოწერიდან (1783 წ. 24 ივლისი) თვე-ნახევრის შემდეგ და, ამდენად, ინახავს ერთ-ერთ უძველეს ვერსიას იმის თაობაზე, თუ როგორ გავრცელდა ამ შეთანხმების ამბავი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მმართველ წრეებში. როგორც წერილიდან ჩანს, საქართველოს რუსეთთან შეერთების ამბავი ევროპის ქვეყნებში გახმაურდა სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტთან ერთად. წერილის ადრესატი გრაფი დე ფლორიდაბლანკა ცნობილი ესპანელი პოლიტიკური მოღვაწეა (1728-1808). წერილის შედგენის დროს იგი ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრია. წერილის ავტორი სიმონ დე ლას კასას, როგორც წერილიდან ჩანს, ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის წარმომადგენელია ბერლინში. წერილში დასახელებულია გრაფი დე არანდა, ასევე ცნობილი ესპანელი პოლიტიკური მოღვაწე, ესპანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ამ დროისათვის ესპანეთის ელჩი საფრანგეთში. საქსონიის მთავარი, რომელზეც ლაპარაკია წერილში, უნდა იყოს ფრიდრიხ-ავგუსტ III (1763-1827). წერილში ქართველი მეფეები მოხსენიებულნი არიან მთავრის ტიტულით (ესპანურ ორიგინალში — ელ პრინსიპე), ისევე როგორც ჰერცოგი ფრიდრიხ-ავგუსტი, საქსონიის მთავარი. მათი სახელები თარგმანში იმ სახით დავტოვეთ, როგორც ესპანურ ორიგინალშია: ერაკლი, სალომონი. თარგმანში შევინარჩუნეთ ზუსტად რუსეთის დედოფლის ორიგინალისეული დასახელება: იმპერატრიცა — წერილის ტექსტში, და ცარიცა (ესპანურად ცარინა) — საკანცელარიო მინაწერში.

სამეცნიერო მივლინების დროს ჩვენ მიერ მოპოვებული მასალებიდან, ვფიქრობთ, ასევე მნიშვნელოვანი უნდა იყოს მადრიდის ეროვნული ბიბლიოთეკის ერთი ხელნაწერი იტალიურ ენაზე (№ 2470), რომელიც, როგორც მისი სათაურიდან ჩანს, ეხება 1577-1580 წლების ომებს თურქეთის სულთანს, სპარსეთის მეფესა და „ქართველ ქრისტიანებს შორის". ჩვენ ამ ხელნაწერის ქსეროასლიც ჩამოვიტანეთ, მაგრამ იგი საგანგებო და ხანგრძლივ შესწავლას საჭიროებს და მასში დაცული ცნობების შეფასება მხოლოდ შემდეგ გახდება შესაძლებელი.

მასალის მიგნებაში, მოპოვებასა და დამუშავებაში დიდი სამსახური გამიწიეს ესპანელმა კოლეგებმა: პროფესორმა ანტონიო ტოვარმა, დოქტორებმა მარია სანჩესმა, ელვირა განგუტიამ და ანტონიო ბრავომ, მადრიდის ეროვნული ბიბლიოთეკის სლავისტიკის განყოფილების გამგემ ხოსე ფერნანდესმა, სიმანკის სახელმწიფო არქივის დირექტორმა ამანდო რეპრესამ, არაგონის სამეფო არქივის დირექტორმა მარია-მერსედეს კოსტამ, საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის საზოგადოების წარმომადგენელმა ესპანეთში ზურაბ აბაშიძემ და საქართველოს ისტორიით, კულტურითა და ლიტერატურით დაინტერესებულმა ბევრმა ესპანელმა მოქალაქემ.

ელგუჯა ხინთიბიძე.

საგურამოს ნაკრძალში
ზ. დათუაშვილის ფოტო.

[illegible]

„ბორდოსა" და „ინტერის" ფეხბურთელები დაჯარიმდნენ...

უეფას დისციპლინურმა კომისიამ 72.000 ფრანკით დააჯარიმა ფრანგული კლუბი „ბორდო" იმის გამო, რომ ევროპის ჩემპიონთა თასისათვის მეოთხედფინალური მატჩის დროს, რომელიც 6 მარტს მის მოედანზე მიმდინარეობდა საბჭოთა „დნეპრის" გუნდთან, გულშემატკივართა მიერ ნასროლი პეტარდა საბჭოთა გუნდის სათადარიგო მოთამაშეთა სკამზე დაეცა.

ასევე დაჯარიმდა, ოღონდ 720.000 ფრანკით, იტალიური გუნდი „ინტერი". ესოდენ დიდი თანხით უეფას არასოდეს არც ერთი კლუბი არ დაუჯარიმებია. ასე „შეაფასა" დისციპლინურმა კომისიამ გულშემატკივართა ხულიგნური გამოხდომა უეფას თასისათვის მეოთხედფინალური მატჩის დროს, რომელიც მილანში გაიმართა ადგილობრივ „ინტერსა" და დასავლეთგერმანულ „კელნს" შორის. ტრიბუნებიდან ნატყორცნმა ბენგალიურმა ცეცხლმა და კვამლის ბომბებმა ექვსი წუთით შეაჩერა თამაში, რადგან მოედანი კვამლის ღრუბელში გაეხვია.

სატურნირო ორბიტა

ჰოკეი. პრაღაში მიმდინარე ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების მეშვიდე ტურის პირველი ორი მატჩი ასეთი შედეგებით დამთავრდა: გფრ-გდრ — 6:0, აშშ-ფინეთი — 3:8.

თავისუფალი ჭიდაობა. ლაიფციგში დაწყებული ევროპის ჩემპიონატის პირველი წრე წარმატებით განვლეს საბჭოთა ათლეტებმა. მათ შორის თავი ისახელეს საქართველოს სპორტსმენებმაც: დავით გობეჯიშვილმა (უმძიმესი წონა) დაამარცხა რუმინელი ა. იანო, ხოლო ლერი ხაბელოვმა — ს. ზეკინი (თურქეთი).

კალათბურთი. ლენინგრადში დამთავრდა მოზარდთა ზაფხულის პირველ საკავშირო სპარტაკიადის ასპარეზობებში მონაწილე კალათბურთელ გოგონათა ფინალური შეჯიბრება. საქართველოს ნაკრებმა 8 საუკეთესო კოლექტივს შორის მოხვდა და ამ ეტაპზე მერვე ადგილის დაკავებით საერთო-გუნდურ ჩათვლაში 36 ქულა დაირიცხა. პირველ სამ ადგილზე გამოვიდნენ უკრაინა — 144 ქულა, ბელორუსია — 120 და მოსკოვი — 100 ქულა. ამ ასპარეზობათა პროგრამაშია შეჯიბრებები 35 სახეობის სპორტში. 11 ივნისს შეჯიბრებაში ჩაებმებიან წყალბურთელები, ოდესაში კი საგზაო ველორბოლაში იასპარეზებენ, ხოლო 28 ივნისს ლენინგრადში დაიწყება მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირი. დანარჩენ სახეობებში შეჯიბრებები გაიმართება ივლისში.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

მოსკოვი

28 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — კონცერტი. 10.10 — დოკუმენტური ტელეფილმი. 10.20 — „სპორტლოტო". 10.30 — „მაღვიძარა". 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — ჯანმრთელობა. 12.45 — „დილის ფოსტა". 13.15 — მწერალი და ცხოვრება. 15.50 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 16.20 — ფილმი — ბავშვებს. 17.20 — ახალი ამბები. 17.25 — მოგზაურთა კლუბი. 18.25 — კონცერტი. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მულტფილმი. 20.00 — „სალამი, ფესტივალო!" 22.00 — „ვრემია". 22.35 — საფეხბურთო მიმოხილვა. 23.05 — კონცერტი. 23.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.15 — მხიარულ ტალღაზე. 9.30 — რიტმული ტანვარჯიში. 10.00 — რუსული მეტყველება. 10.30 — დოკუმენტური ტელეფილმი. 11.00 — კონცერტი. 11.50 — დოკუმენტური ფილმი. 12.10 — აჭარა — დაუჯერებელი. 13.10—6. შეიკომედვედევა — „ნასტიას, კატა ტიმოთეს და ჯადოსნური მარცვლის ზღაპარი". სპექტაკლი. 13.55 — „ცისარტყელა". 14.15 — „დიდი სამამულო". მე-20 ფილმი „უცნობი ჯარისკაცი". 15.05 — კინოჟურნალი. 15.15 — კინომაყურებლის თანამგზავრი. 16.00 — „გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 16.30 — დირიჟორი და ორკესტრი. 17.25 — მსოფლიო და და ახალგაზრდობა. 18.00 — ფეხბურთი. მოსკოვის „ტორპედო"-სკა. 19.45 — გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორები — ლენინური პრემიის ლაურეატები. ვ. პ. სოლოვიოვ-სედოი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო". 21.20 — ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ფილმი „ხეობაში".

29 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — — „ვრემია". 9.35 — საფეხბურთო მიმოხილვა 10.05 — მულტფილმები. 10.35 — კონცერტი. 11.25 — მოგზაურთა კლუბი. 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმები. 16.35 — იცოდე და ისწავლე. 17.05 — სიმღერები. 17.40 — ადამიანი მიწის ბატონ-პატრონია. 18.40 — ნორჩთა შემოქმედება. 19.00 — თანამედროვე მსოფლიო და მუშათა მოძრაობა. 19.30 — ყოველ ნახატში მზეა. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — საქმენი და ადამიანები. 20.30 — ხალხური მელოდიები. 20.45 — „გამარჯვების სტრატეგია". მე-13 ფილმის პირველი ნაწილი. 22.00 — „ვრემია". 22.35 — „პ. ი. ჩაიკოვსკის ყველა სიმფონია". № 1 სიმფონია. 23.30 — ჰოკეი. ფინალური ჯგუფის გუნდების მატჩი. შესვენების დროს (00.10) — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი „ფერთა მელოდია". 10.05 — რუსული მეტყველება. 12.05 — მეცნიერება და ცხოვრება. 13.10 — ზოგადი ბიოლოგია. ადამიანის წარმოშობა. 14.30 — ისტორიულ-რევოლუციური თემა საბჭოურ სახვით ხელოვნებაში. 15.00 — წერილები ამხანაგს. ბ. გორბატოვის ნაწარმოებთა კვალდაკვალ. 15.40 — ვ. ი. ლებედევ-კუმაჩის ლექსები და სიმღერები. 19.15 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს. 20.15 — რიტმული ტანვარჯიში. 20.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — საერთაშორისო პანორამა. 22.00 — „ვრემია". 22.35 — იუგოსლავური მხატვრული ფილმი „თანამებრძოლი მეგობრები".

ჩვენს ტელეეკრანზე

თბილისი

28 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — „მოამბე". 10.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამი, ოთხი..." (მ). 10.20—ახალგაზრდობისათვის. გასართობი პროგრამა — „რიტმი, რიტმი, რიტმი". 11.00 — სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები. 11.45 — საკვირაო გამოფენა. 11.50 — კინოეკრანის სიახლენი. 12.00 — — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ). 12.45 — „კინოაფიშა". 13.15 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი (სტუდიაშია თ. კვაჭანტირაძე). 13.45 — საკვირაო გამოფენა. 13.50—ხალხური შემოქმედება — სიმღერის შესწავლა („რაჭული სუფრული". გაკვეთილს უძღვება რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. ხატელიშვილი). 14.20 — ბავშვებისათვის — „აბა, დელია!". 14.50 — სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად — „ჩვენი სოფელი" —სატელევიზიო პროგრამა. 15.40 — „ვესტნიკი". 16.10 — „თბილისი და თბილისელები" — სატელევიზიო ჟურნალი. 16.45 — საკვირაო გამოფენა. 16.50 — დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის — „საქართველოს ექიმები დიდ სამამულო ომში". 18.15 — ახალგაზრდობისათვის — „ევროპის სტადიონებზე". 19.00 — საერთაშორისო პანორამა" (მ). 19.45 — „ზღაპრის გუდა". 20.00 — „მოამბე". 20.35 — საკვირაო გამოფენა. 20.40 — „ეკონომიკა ყველა ჩვენგანის საზრუნავია". (პოლიტიკური მიმომხილველის ნ. ბეთანიშვილის საუბარი). 21.00 — „მხიარული მელოდიები". 21.30 — ახალგაზრდობისათვის — „როგორ მუშაობთ, ბიჭებო?" — გა- [illegible]

[illegible] გნები. 17.35 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის — „მუშათა ცვლაზე ფიქრით". 18.00 — „უფროსკლასელთათვის — „თვალსაწიერი". სატელევიზიო ჟურნალი. 18.45 — „ახალგაზრდობისათვის" — „საუბარი". 19.15 — საერთაშორისო [illegible]

თეატრი

28 აპრილი

[illegible] ფო აკადემიური — სევილიელი დალაქი (53-ე აბონ. მეათე წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ას ერგასი დღე (დღისით და საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ასის წლის წინათ (დღისით), [illegible]